საქართველოს რესპუბლიკა

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ორგანო

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. № 152 (172) შაბათი, 3 აგვისტო, 1991 წელი ფასი 10 კაპიკი

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესია

2 აგვისტოს გაიმართა საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს პირველი სესიის სხდომა, რომელსაც უძღვებოდა უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე აკაკი ასათიანი.

სხდომაში მონაწილეობდნენ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია, მთავრობის წევრები, აგრეთვე რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების პრეფექტები.

სესიის დღის წესრიგის საკითხთა განხილვის დაწყების წინ სხდომაზე გაკეთდა განცხადება სრულიად საქართველოს მერაბ კოსტავას საზოგადოების სახელით უზენაესი საბჭოსა და მისი თავმჯდომარის საქმიანობის თაობაზე.

უზენაესმა საბჭომ განიხილა და მიიღო საქართველოს რესპუბლიკის კანონთა პაკეტი — ეროვნული ბანკის შესახებ, ფულად-საკრედიტო რეგულირების შესახებ, რესპუბლიკაში ბანკებისა და საბანკო საქმიანობის შესახებ, დადგენილება მათი სამოქმედოდ შემოღების შესახებ. შემდეგ დეპუტატებმა განიხილეს საქართველოს რესპუბლიკის კანონის პროექტი პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა შესახებ და მიიღეს იგი მეორე მოსმენით. პირველი მოსმენით მიიღეს საქართველოს რესპუბლიკის კანონები მოქალაქეთა რესპუბლიკის პოლიტიკური გაერთიანებებისა და სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზების შესახებ.

სესიაზე მიიღეს კანონი საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებათა შეტანის შესახებ, დადგენილება მისი სამოქმედოდ შემოღების თაობაზე.

პარლამენტარებმა გადაწყვიტეს შეაჩერონ აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს დადგენილების მოქმედება ამ ავტონომიური რესპუბლიკის ცენტრალური ბანკისა და საბანკო ურთიერთობის შესახებ, წინადადებით მიმართეს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს მხარი დაუჭიროს ამ გადაწყვეტილებას.

მიღებულია უზენაესი საბჭოს დადგენილება ჯავის რაიონსა და ცხინვალში სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების შესახებ.

უზენაესმა საბჭომ მიიღო კანონი „საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ კანონში“ ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ, აგრეთვე დადგენილება სიღნაღისა და მესტიის საარჩევნო ოლქებში საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების გამართვის ვადების გადატანის თაობაზე.

მიღებულია უზენაესი საბჭოს დადგენილება ნოდარ წულეისკირისა და არკადი მარკოზიას სადეპუტატო უფლებამოსილებათა ცნობის შესახებ. ვადამდე შეწყვეტილია საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრების თენგიზ კიტოვანისა და იოსებ ბარათაშვილის, აგრეთვე შალვა წინწალაშვილის სადეპუტატო უფლებამოსილებანი.

უზენაესმა საბჭომ მხარი დაუჭირა რესპუბლიკის მთავრობის გადაწყვეტილებას, გადასცეს საქართველოს იურისდიქციას ამიერკავკასიის ტერიტორიული მართვისადმი დაქვემდებარებული სტრატეგიული მატერიალური რეზერვები.

განყოფილებაში „სხვადასხვა“ სესიაზე აღძრეს რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების ცალკეული საკითხები.

დღის წესრიგის ზოგიერთი საკითხი გადაიდო.

საქინფორმი.

• • •

სურათზე: საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პირველი სესიის მორიგი სხდომა.
იოსებ დავითაშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

დადგენილება

„საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის 25 ივლისის კანონისა და „საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში დამატების შეტანის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის 2 აგვისტოს კანონის სამოქმედოდ შემოღების თაობაზე

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

„საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის 25 ივლისის კანონი და „საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში დამატების შეტანის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის 2 აგვისტოს კანონი სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს 1991 წლის 3 აგვისტოდან.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე
აკაკი ასათიანი.

თბილისი. 1991 წლის 2 აგვისტო.

საქართველოს რესპუბლიკის

კანონი

საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში დამატების შეტანის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის 121 პრიმა 4 მუხლის მე-13 პუნქტში სიტყვების „ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილებების“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის აქტების“.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი
ზვიად გამსახურდია.

თბილისი. 1991 წლის 2 აგვისტო.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

დადგენილება

საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში დეპუტატთა არჩევნების № 56 სიღნაღის და № 97 მესტიის საარჩევნო ოლქებში 1991 წლის 4 აგვისტოს დანიშნული არჩევნების გადატანის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის 104-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

1. საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში დეპუტატთა არჩევნების № 56 სიღნაღის და № 97 მესტიის საარჩევნო ოლქებში 1991 წლის 4 აგვისტოს დანიშნული არჩევნები გადატანილ იქნეს 1991 წლის 1 სექტემბრისათვის.
2. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში დეპუტატთა არჩევნების ცენტრალურ საარჩევნო კომისიას უზრუნველყოს არჩევნების ამ ვადაში ჩატარება.
3. ეს დადგენილება ძალაშია მიღებისთანავე.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე
აკაკი ასათიანი.

თბილისი. 1991 წლის 2 აგვისტო.

საქართველოს რესპუბლიკის

კანონი

„საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

1. „საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის 1990 წლის 18 აგვისტოს კანონში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. 23-ე მუხლს:

ა) დაემატოს შემდეგი შინაარსის ახალი 21-ე პუნქტი:

„21) გამონაკლის შემთხვევებში — თუ შეუძლებელია ამ კანონით დადგენილი მოთხოვნების შესრულება ან მიზანშეწონილია დანიშნულ დღეს სხვა მიზეზებით არჩევნების ჩატარება — საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თანხმობით ადგენს საარჩევნო ოლქში საარჩევნო ღონისძიებათა ახალ ვადებს. ნიშნავს მაჟორიტარული წესით არჩევნების ჩატარების ახალ თარიღს ადრე გამოცხადებულიდან არა უგვიანეს ერთი თვისა. ამ უფლებით ცენტრალურ საარჩევნო კომისიას დანიშნული არჩევნების ჩატარებისას შეუძლია ისარგებლოს მხოლოდ ერთხელ.

ბ) 21-ე პუნქტი ჩაითვალოს 22-ე პუნქტად.

2. 37-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების ბოლო წინადადებები შესაბამისად ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„განცხადებაში მითითებული უნდა იყოს დეპუტატობის კანდიდატის გვარი, სახელი, მამის სახელი, დაბადების თარიღი, პროფესია. თანამდებობა (საქმიანობა), არის თუ არა სახელმწიფო ხელისუფლების რომელიმე ორგანოს წევრი, სამუშაო და საცხოვრებელი ადგილი, პარტიულობა, აგრეთვე ამომრჩეველთა ჯგუფის წარმომადგენლის ვინაობა, მისამართი და ტელეფონის ნომერი“.

2. 39-ე მუხლში:

ა) მე-9 ნაწილის მე-2 წინადადება ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თუ პიროვნებამ თანხმობა მისცა ერთზე მეტ პარტიულ სიაში თავისი კანდიდატურის შეტანაზე ან პარტიულ სიაში შეტანასა და კენჭისყრაზე როგორც დამოუკიდებელმა კანდიდატმა, ან ერთზე მეტ საარჩევნო ოლქში კენჭისყრაზე, ანდა არ შესრულა ამ მუხლის მე-6 ნაწილით გათვალისწინებული მოთხოვნები, მის კანდიდატურას ცენტრალური საარჩევნო კომისია არჩევნებიდან მოხსნის“.

ბ) მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-11 ნაწილი:

„რეგისტრაციაზე უარის თქმის ან რეგისტრაციის გაუქმების შემთხვევაში დეპუტატობის კანდიდატად წარდგენილ პირს უფლება აქვს უარის მიღებიდან 3 დღის ვადაში გაასაჩივროს საოლქო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში, ხოლო ცენტრალური საარჩევნო კომისიისა — საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს სასამართლოში. ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ და სასამართლომ გადაწყვეტილება უნდა გამოიტანონ სარჩელის შეტანიდან 3 დღის ვადაში“.

მე-2. ეს კანონი სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს მიღებისთანავე.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი
ზვიად გამსახურდია.

თბილისი. 1991 წლის 2 აგვისტო.

საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის მესხეთელი თურქების საკითხთა კომისიის 1991 წლის 1 აგვისტოს სხდომის

ოქმი

როგორც ცნობილია, საქართველოს ხალხის ნებაზე დაყრდნობით, 1991 წლის 9 აპრილს საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტმა მიიღო დეკლარაცია საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შესახებ.

სამწუხაროდ, ცენტრალური ხელისუფალნი მტრულად მოეკიდნენ საქართველოს ხალხის ამ სამართლიან ნება-სურვილს. ისინი ყოველნაირად ცდილობენ დაარღვიონ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა, ხელს უწყობენ რესპუბლიკაში ეთნოკონფლიქტების გაღვივებას, აწყობენ ეკონომიკურ ბლოკადას, ყოველნაირად უშლიან ხელს კავშირურთიერთობას დანარჩენ ცივილიზებულ სამყაროსთან, რითაც ცდილობენ დაგვსაჯონ რეალური დამოუკიდებლობისადმი მისწრაფებისათვის.

ცენტრალურ ხელისუფალთა მოქმედების შედეგად რესპუბლიკაში შეიმჩნევა ღრმა პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისი, რომელსაც ართულებს მომხდარი სტიქიური უბედურება, რომლის ლიკვიდაციას ხმარდება რესპუბლიკაში არსებული მთელი რესურსები.

ამ დაბრკოლებათა მიუხედავად, ქართველი ხალხი შეუპოვრად ესწრაფვის წმიდათაწმიდა მიზანს და დარწმუნებულია, რომ საქართველო მალე მოიპოვებს რეალურ დამოუკიდებლობას და მსოფლიო გაერთიანების სრულფასოვანი წევრი გახდება. ეს იქნება საქართველოს მთავრობის მხრივ პრაქტიკულ ღონისძიებათა განხორციელების გარანტი, რათა გადაიჭრას მესხეთელი თურქების საკითხი საერთაშორისო სამართლის საფუძველზე.

საკითხის ასეთი გადაწყვეტა შეესაბამება იმ მორიგების სულისკვეთებას, რომელიც მიღწეული იყო 1990 წლის აგვისტოში პოლიტიკურ ბლოკ „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველოს“ და საზოგადოება „ვატანის“ ხელმძღვანელობას შორის.

კომისიის წევრები, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატები:
თ. დიხამინჯია,
ბ. კორძაძე,
გ. ჩორგოლაშვილი.

საჩუქარი პარიზიდან ჩამოიტანეს საქართველოში

რესპუბლიკის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები უკვე იუწყებოდნენ, რომ პროფესორი გურამ შარაძე, რომელიც ქართულ ემიგრაციას სწავლობს, მთელ თვეს იყო პარიზში, სადაც ლევილის ქართული მამულის გამგებლის ხელშეწყობით გამოავლინა ახალი მასალები. იუწყებოდნენ იმასაც, რომ ცნობილი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის ვიქტორ ნოზაძის ქართული სტამბა საქართველოში ტანკერ „თბილისით“ გამოიგზავნა.

1 აგვისტოს დილის 6 საათსა და 30 წუთზე გემი მოადგა ბათუმის ნავსადგურს. საქინფორმის კორესპონდენტი შეხვდა ბატონ გურამ შარაძეს და სთხოვა გაეცნო თავისი მივლინების შედეგები.

—დიდძალი საინტერესო მასალა ჩამოვიტანეთ, — თქვა პროფესორმა.—1952 წელს მიუნხენში ამერიკელების მიერ დაარსებული რადიოსადგურის „თავისუფლების“ ქართული რედაქციის დირექტორმა კარლო ინასარიძემ გადმომცა ამ რედაქციის არქივი. მასში დაცულია გრიგოლ რობაქიძის, მიხაკო წერეთლის, პოეტების გიორგი ყიფიანისა და გიორგი გამყრელიძის და სხვათა ხმის ჩანაწერები. საქართველოში პირველად მოისმენენ ვიქტორ ნოზაძის ხმას.

უნდა ითქვას, რომ რადიოსადგურ „თავისუფლების“ ქართული რედაქციის პირველი დირექტორი იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ყოფილი იუსტიციის მინისტრი რაჟდენ არსენიძე. ბატონი კარლო ინასარიძე ამ დროს იქვე თანამშრომლობდა და რედაქციის სათავეში ჩაუდგა 1964 წელს, რ. არსენიძის გარდაცვალების შემდეგ. ახლა პენსიაზეა.

ჩამოვიტანე აგრეთვე კინომასალა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის ევგენი გეგეჭკორის დაკრძალვის შესახებ. განსაკუთრებით საინტერესოა ხელნაწერი დოკუმენტები ქაქუცა ჩოლოყაშვილზე, მის გარდაცვალებასა და დაკრძალვაზე. საინტერესოა აგრეთვე მასალები 1921 წლის 17-18 მარტს ქუთაისში გამართული საზავო მოლაპარაკების შესახებ, რომელშიც მონაწილეობდნენ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო მინისტრი გრიგოლ ლორთქიფანიძე (ნოე ჟორდანიას მთავრობის წარმომადგენელი), აბელ ენუქიძე, რომელიც გამოგზავნა ლენინმა, და მამია ორახელაშვილი, იმ ხანად საქართველოში ახალი ხელისუფლების წარმომადგენელი.

ვიქტორ ნოზაძის ქართული სტამბის ბედი უკვე ცნობილია. „აგფას“ ფირმის ოთხი პირგადასაღები მანქანა კი, რომლებიც გვაჩუქა მისმა ერთ-ერთმა დირექტორმა, ჩვენმა პარიზელმა თანამემამულემ ბატონმა ოთარ პატარიძემ, თბილისის უნივერსიტეტსა და სხვა ორგანიზაციებს გადაეცემათ.

განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო საქართველოს საზღვაო სანაოსნოს უფროსს ჯემალ ჭილვარიას სპონსორობისთვის. უნდა ითქვას, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩემს ამასწინანდელ მივლინებასაც, რომელიც ასევე ქართული ემიგრაციის შესწავლას ეძღვნებოდა, საქართველოს საზღვაო სანაოსნო აფინანსებდა. სპეციალური მანქანაც, რომლითაც თბილისში გამოიგზავნება ძვირფასი ტვირთი, სანაოსნომ გამოგვცა.

დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ტანკერ „თბილისის“ კაპიტანს მიხეილ ცქიტიშვილსა და გემის მთელ ეკიპაჟს დახმარებისთვის.

ვფიქრობთ, თბილისში შევქმნით ქართული ემიგრაციის მუზეუმს, სადაც გამოვფენთ კიდეც ჩამოტანილ მასალებს.

თამაზ ბენძენაძე,
საქინფორმის კორ.

ჯორჯ ბუში მხარს უჭერს სამოკავშირეო ხელშეკრულებას?

შეერთებული შტატების პრეზიდენტი ჯორჯ ბუში მოსკოვიდან კიევში ჩავიდა, სადაც უკრაინის პარლამენტში ვრცელი სიტყვით გამოვიდა. მან დადებითად შეაფასა საბჭოთა კავშირთან დადებული ხელშეკრულება სტრატეგიული შეიარაღების 30 პროცენტით შემცირების თაობაზე. ჯორჯ ბუშმა ხაზი გაუსვა, რომ სულ უფრო რეალური ხდება ვაშინგტონსა და საბჭოთა რესპუბლიკებს შორის პირდაპირი ეკონომიკურ-პოლიტიკური კავშირების დამყარების შესაძლებლობა, მაგრამ მისი აზრით ამისათვის უკრაინამ ახალ სამოკავშირეო ხელშეკრულებას ხელი უნდა მოაწეროსო. ჯორჯ ბუშის უკანასკნელ განცხადებას უკრაინის პარლამენტში და მის გარეთ არაერთგვაროვანი რეაქცია მოჰყვა.

ამჟამად უკრაინის პარლამენტში კომუნისტები სჭარბობენ, მაგრამ არის სერიოზული ოპოზიციური ძალებიც. მათი აზრით ბუშის მოწოდება ახალი საბჭოთა სამოკავშირეო ხელშეკრულების სასარგებლოდ სხვა არაფერია, თუ არა მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტის თანამედროვე ვარიანტით გამეორება. „ჩვენ არ მივიღებთ ჯორჯ ბუშს, რომელიც ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების მოსკოვის აგიტატორია“, განაცხადა ამერიკის პრეზიდენტის ჩამოსვლასთან დაკავშირებით მოწყობილ პრეს-კონფერენციაზე უკრაინის ოპოზიციური პარტიების გაერთიანების „რუხის“ ერთ-ერთმა ლიდერმა ივან დრაჩმა.

ჯორჯ ბუშის საბჭოეთთან მიმართებაში არსებული ზიგზაგები და აქცენტის ცენტრზე აღება უკრაინის ოპოზიციური ძალების დიდ უკმაყოფილებას იწვევს. მათ უარი განაცხადეს ამერიკის პრეზიდენტის მიერ დაგეგმილ ოპოზიციური პარტიების ლიდერებთან ერთობლივი პრესკონფერენციის ჩატარებაზე. ამ გადაწყვეტილების თაობაზე ლვოვის ოლქიდან უკრაინის პარლამენტის დეპუტატმა ვიაჩესლავ ჩორნოვილმა მწუხარება გამოთქვა იმასთან დაკავშირებით, რომ „შეერთებული შტატების არაბალანსირებული პოლიტიკა რესპუბლიკების მიმართ დღესაც გრძელდება“. უკრაინის ოპოზიციის აზრით, ჯორჯ ბუშის მიერ კომუნისტურ მოსკოვზე აქცენტის გაკეთება რესპუბლიკების დემოკრატიული მოძრაობის საზიანოდ პოლიტიკური ნონსენსიაო.

პოლიტიკური მეთვალყურეების აზრით, უკრაინის ოპოზიციის უარი ჯორჯ ბუშთან შეხვედრაზე საერთაშორისო ცხოვრებაში გარკვეულ რეზონანსს გამოიწვევს.

დამოუკიდებელი სასამართლო მხოლოდ კანონის მსახურია

საქართველოს მართლმსაჯულება დამოუკიდებელი გახდა! ეს არის მთავარი და ძირითადი გარანტი იმისა, რომ მართლმსაჯულება იმოქმედებს ყოველგვარი ჩარევის გარეშე და თანაბრად უზრუნველყოფს საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებულ ადამიანის ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური და ენობრივი ჯგუფების უფლებებსა და თავისუფლებას; — იმედით, სიხარულით და სიამაყით ავსებს ეს სტრიქონები საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პლენუმის დადგენილებიდან ყოველი ქართველის გულს.

პლენუმზე მოხსენება გააკეთა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ მინდია უგრეხელიძემ.

როგორც მან აღნიშნა, დღეს რესპუბლიკის სასამართლო სისტემაში რეფორმები მიმდინარეობს. ეს შესაძლებელი გახდა მას შემდეგ, რაც საქართველო დაადგა თავისუფალი, დემოკრატიული, სამართლებრივი სახელმწიფოს შენების გზას. პოლიტიკური სუვერენიტეტის და დამოუკიდებლობის დაკარგვამ დაღუპვამდე მიიყვანა საქართველოს სახელმწიფოებრიობა და დააკნინა მისი როლი საერთაშორისო ურთიერთობაში.

გაპარტახებული აღმოჩნდა საქართველოს უძველესი სახელმწიფო სამართლებრივი ინსტიტუტები, მისი სამართლისა და მართლმსაჯულების თვითმყოფადი სისტემა, რომელიც ყალიბდებოდა ეროვნული ტრადიციების წიაღში, საუკუნეებით შემონახულ ეროვნულ ჩვეულებათა და ზნეობრივი მრწამსის საფუძველზე.

ინტერნაციონალიზმისა და ერთა თანასწორუფლებიანობის პრინციპების ყალბი გაგებისა და დამახინჯებულად გამოყენების გამო ქართველი ერი საკუთარ სამშობლოში დათრგუნვილ მდგომარეობაში აღმოჩნდა, რასაც სასამართლო პრაქტიკა წინააღმდეგობას ვერ უწევდა.

რესპუბლიკის მართლმსაჯულების ორგანოების საქმიანობაში წლების მანძილზე უგულვებელყოფილი იყო ქართული ენა, როგორც ერის ზნეობრივ-სამართლებრივი მრწამსისა და თვითმყოფადი იურიდიული კულტურის დამკვიდრება-გამოხატულების საშუალება. საქართველოს ბევრ რაიონში მართლმსაჯულება ქართულ ენაზე არ ხორციელდებოდა, რითაც ქართული ენის გამოყენების არე იზღუდებოდა. რაც მთავარია, ხაზგასმით აღინიშნა პლენუმზე, დიდი ხნის განმავლობაში საქართველოს თავს მოხვეული ჰქონდა მისთვის უცხო სამართლებრივი იდეოლოგია და სისტემები, რომლებმაც საქართველო პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სულიერ დაქვეითებამდე მიიყვანა.

1991 წლის 9 აპრილი, როდესაც საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ „საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი“ მიიღო, შევიდა საქართველოს ისტორიაში დიდმნიშვნელოვან თარიღად, ნიშანსვეტად თავისუფალი, დემოკრატიული, სამართლებრივი საქართველოს შენების გზაზე. ამ ისტორიულმა აქტმა საბოლოოდ განსაზღვრა საქართველოს მართლმსაჯულების დამოუკიდებლობის ბედი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პლენუმმა განიხილა საკითხი „სასამართლოების მიერ იმ სამართლებრივი ნორმების გამოყენების შესახებ, რომლებიც აწესრიგებენ მოსარჩელის უარს სარჩელზე; მოპასუხის მიერ სარჩელის ცნობასა და მხარეთა მორიგებას“, აგრეთვე, პროტესტები სისხლის სამართლისა და სამოქალაქო სამართლის კონკრეტულ საქმეებზე; მიიღო შესაბამისი დადგენილებანი.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორი ვახტანგ რაზმაძე, პლენუმს ესწრებოდნენ საქართველოს იურისტთა დამოუკიდებელი კავშირის თავმჯდომარე ზურაბ რატიანი და საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრის მოადგილე ალექსანდრე ტალიაშვილი.

საქინფორმი.

ევროპარლამენტარი საქართველოში

უშგული. საქართველოში სტუმრად მყოფი ევროპარლამენტის განყოფილების გამგე ქრისტიან როვსინგი რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარესთან თენგიზ სიგუასთან ერთად მესტიის რაიონს ეწვია.

სტუმრებმა შვეულმფრენიდან თვალი გადაავლეს საქართველოს ამ ლამაზ კუთხეს, სადაც შესანიშნავ ლანდშაფტთან ერთად უნიკალური ისტორიულ-არქიტექტურული ძეგლებია თავმოყრილი.

უშგულში შესვენებისას ბატონი როვსინგი ინტერესით გაეცნო ამ კუთხის ისტორიულ წარსულსა და დღევანდელობას, ესაუბრა აქ მოსულ ადგილობრივ მოსახლეობასა და სტუმრებს.

უკვე რამდენიმე დღეა ზემო სვანეთში მუშაობს საერთაშორისო ორგანიზაციის „მსოფლიო ბუნების ფონდის“ საგანგებო ექსპედიცია, რომელიც სწავლობს ამ უნიკალურ კუთხეს. როგორც რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარესთან და ბატონ როვსინგთან საუბრისას ექსპედიციის წევრებმა განაცხადეს, სამწუხაროა, რომ საერთაშორისო ორგანიზაციებს აქამდე უყურადღებოდ ჰქონდათ მიტოვებული ეს ხელთუქმნელი მხარე. არადა, ჩრდილოეთ კავკასიის ფერდობებზე საპირისპირო სურათს ვხედავთ. იქ არაერთი ნაკრძალია შექმნილი, რომელთა მოვლა-შენახვისათვის დიდძალი სახსრები იხარჯება. ჩვენი მიზანია ბუნებისა და მატერიალურ-სულიერი კულტურით ესოდენ მდიდარ ზემო სვანეთს, რომლის მსგავსი მსოფლიოში ცოტა თუ მოიძებნება, თავისი ზუსტი სტატუსი მიენიჭოს, რაც საბოლოოდ გადაჭრიდა მისი სათანადო დაფინანსებისა და მოვლა-შენახვის საკითხებს. — საქართველოს საერთაშორისო ტურიზმის განვითარების ყველა შესაძლებლობა რომ აქვს, ამის მაგალითად ზემო სვანეთიც იკმარებდა, — თქვა საქინფორმის კორესპონდენტთან საუბრისას ბატონმა როვსინგმა. — სამწუხარო მხოლოდ ის არის, რომ თქვენს სამშობლოს დასავლეთში ძალზე ცოტა ვინმე თუ იცნობს. ამიტომ თქვენს ხალხს, მის საქმიან ადამიანებს დიდი გარჯა მართებთ იმისთვის, რომ თქვენმა კოპწია სამშობლომ სათანადო ადგილი დაიმკვიდროს საერთაშორისო ტურისტულ მარშრუტებში. თავად მოგეხსენებათ, ამას დიდი ხარჯებიც დასჭირდება. ჩემი მხრივ, მზად ვარ ამ საკითხზე საქმიანი მოლაპარაკება დავიწყო თქვენს მთავრობასთან. მეტსაც გეტყვით: გადაწყვეტილი მაქვს, რამდენიმე მილიონი მანეთი დავაბანდო საქმეში.

* * *

თუშეთი. 1 აგვისტოს ევროპარლამენტის წევრი ბატონი ქრისტიან როვსინგი და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ბატონი თენგიზ სიგუა იყვნენ თუშეთში. ვერ მალავდნენ თავიანთ აღტაცებას ამ მხარის სილამაზის შემყურენი, სადაც ასე ბუნებრივად მეზობლობენ ლამაზი ოლიმპიური ფერები, მარადიული თოვლით დაფარული მწვერვალები და ადამიანი მისივე ხელით შექმნილ ბინადრობის გარემოსთან. არც კი იგრძნობა ბუნებასთან ადამიანის აგრესიული დაპირისპირება, რომელიც, სამწუხაროდ, სულ უფრო ძლიერდება დედამიწაზე ცივილიზაციის „შეტევის“ კვალობაზე. თუშეთში ბუნება და ადამიანი ერთმანეთში ცხოვრობენ და, ალბათ, სწორედ ეს ქმნის იმ ყოვლისმომცველ სიმშვიდეს, რომელიც აოცებს ყველას, ვინც პირველად ხვდება აქ.

შვეულმფრენი ომალოში დაეშვა. ამ დროს სოფელში საკმაოდ ხალხმრავლობაა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც აქეთ საავტომობილო გზა გამოიყვანეს. ესეც კია, როგორც ადგილობრივმა ექიმმა ელგუჯა ჭეჭინაძემ თქვა, ამ გზაზე მოძრაობა მხოლოდ გაზრდილი გამავლობის ტრანსპორტით შეიძლება. მაგრამ ახლა მაინც უფრო იოლია, ვიდრე მაშინ, როცა რაიონულ ცენტრთან მხოლოდ სალაღფეხო ბილიკები აკავშირებდათ. სტუმრებმა დაათვალიერეს ადგილობრივი მუზეუმი, რომელშიც წარმოდგენილია თუშთა — მეომართა და მეცხვარეთა თავისთავადი კულტურის ამსახველი ექსპონატები. თუშის ცხოვრების წესს ყოველთვის ჰქონდა სამეურნეო საქმიანობის სპეციფიკით განპირობებული თავისებურებანი. ამიტომ ამ ბოლო დრომდე საწოლში, თავის კერიასთან გარდაცვლილ კაცზე თუშები იტყოდნენ ხოლმე: ზარმაცი იყო და ამიტომაც შინ დალიაო სული.

სილამაზე სილამაზედ, მაგრამ მთიელებს ახლა მრავალი პრობლემაც აქვთ. ისინი დიდხანს ესაუბრნენ მთავრობის თავმჯდომარეს ამ პრობლემებზე. ბატონ თენგიზ სიგუას არ გამოპარვია არც ერთი წვრილმანი. ისინი კი მართლაც ბევრია — არ არის სათბობი, აკლიათ პირველი საჭიროების საქონელი, თავიანთი მშობლიური კერებისა და ტრადიციული მეცხოველეობის აღორძინებისადმი მთიელთა ამ ბოლო დროს გაძლიერებულ ლტოლვასთან დაკავშირებით აქაურ მეცხვარეებს უნდა დაუბრუნდეთ თავიანთი საზაფხულო საძოვრები, რომლებითაც აქამდე სარგებლობდნენ გურჯაანის რაიონის მეურნეობანი. საგულისხმოა, რომ აქ, საყოველთაო აზრით, მხარის ნამდვილი აღორძინება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა მიწები გადაეცემათ კერძო საკუთრებაში, მაშინ უკვე მთიელი აუცილებლად დაუბრუნდება წინაპართა მიწას.

თუ ომალო თითქმის არ განსხვავდება სოფლის ტიპის თანამედროვე დასახლებული პუნქტისგან, დართლომ და შენაქომ, სადაც იყვნენ სტუმრები, შეინარჩუნეს ძველი თემური სოფლის ყველა ატრიბუტი თავიანთი კოშკებით, ფიქლით ნაგები დიდი სახლებითა და სამეურნეო ნაგებობებით. ამასთან სტუმრები გააოცა საკმაოდ რთულმა ნაგებობებმა, რომელთა კედლები აგებულია ეგრეთ წოდებული მშრალი წყობით, იშვიათად თუ ნახავთ ჩვეულებრივ თიხას.

კიდევ ერთი შტრიხი. ყველგან, სადაც კი ჩამოხდნენ სტუმრები, მათ ხვდებოდა სოფლის ყველა მცხოვრები, რომლებიც არ მალავდნენ თავიანთ სიხარულს. საქართველოში ძნელია ვინმე გააკვირვო სტუმართმოყვარეობით, მაგრამ თუშები აქაც განსაკუთრებულად გამოირჩევიან. გარე სამყაროს თითქმის მთლიანად მოწყვეტილ თუშებს საუკუნეების მანძილზე ჩამოუყალიბდათ თავიანთ მხარეში მოსული მეგობრებისადმი განსაკუთრებული პატივისცემის გრძნობა, რადგან უწინ მომსვლელთა უმრავლესობის ერთადერთი მიზანი იყო დაერბიათ სოფელი, წაესხათ პირუტყვი და ადამიანები, და მათგან რომ თავი დაეცვათ, თუშები გამუდმებით აგებდნენ სიმაგრეებს, კოშკებს, რომელთა სრულყოფილება აღტაცებას იწვევს.

ბატონი ქრისტიან როვსინგი დიდი ინტერესით გაეცნო თუშეთს, ამასთან აღნიშნა, რომ ყოველივე, რაც ნახა, აქაური მცხოვრებლების დიდი ნიჭისა და გარჯის მკაფიო დასტურია, რაც, ბუნებრივია, სრულად იქნება გამოყენებული დამოუკიდებელ საქართველოში, სადაც შეიქმნება ყველა პირობა ხალხის, პიროვნების პოტენციური შესაძლებლობათა გამოსავლენად.

მაკა ქილაძე,
თენგიზ ბრიგალაშვილი,
საქინფორმის კორ.

პროექტი

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებათსარგებლობის ეროვნული კონცეფცია

წინათქმა

გარემოს დაცვა და ბუნებათსარგებლობა, როგორც თანამედროვე საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური საქმიანობის ერთ-ერთი განმსაზღვრელი მიმართულება, მოწოდებულია დაამყაროს ჰარმონიული წონასწორობა ბუნებისადმი საზოგადოების დამოკიდებულებაში მისსავე საკეთილდღეოდ.

გარემოს დაცვისა და ბუნებათსარგებლობის ეროვნული კონცეფცია ემყარება სადღეისო შეხედულებებს ეკოლოგიის პრობლემებზე, მიზნებზე, მათი რეალიზაციის გზებზე და წარმოადგენს ბუნების დაცვის ეროვნული პოლიტიკის ახლებურ იდეოლოგიურ საფუძველზე შედგენილ ზოგადმეთოდოლოგიურ დოკუმენტს, რომელთანაც შესატყვისობაში უნდა განისაზღვროს ბუნებათდაცვითი სტრატეგიული მიმართულებები და ტაქტიკური ხერხები, სხვადასხვა დანიშნულების სქემები, უწყებრივი, ტერიტორიული და რეგიონალური პროგრამები და ა. შ.

გარემოს დაცვისაკენ მიმართული საქმიანობის საბოლოო მიზანი ისეთი სასიცოცხლო გარემოს შექმნაა, რომელშიც ადამიანის მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება და მისი ჯანმრთელობის დაცვა განხორციელდება ბუნებრივი სიმდიდრისადმი მზრუნველი მოპყრობითა და მიზანშეწონილი გამოყენებით, ამის შესაბამისად, საქართველოში სახელმწიფო ეკოლოგიური პოლიტიკის მიზანს რესპუბლიკის ხალხთა საცხოვრისის — საქართველოს ბუნებრივი გარემოს შემაშფოთებელ მიჯნამდე მისული მდგომარეობის გაჯანსაღება-მოწესრიგება და ქართველი ერის გენეტიკური თავისთავადობის შენარჩუნება წარმოადგენს.

გარემოს დაცვის, დამზოგავი და რაციონალური ბუნებათსარგებლობის სტრატეგიის ფუძემდებლური პრინციპებია:

— განუსაზღვრელად ხანგრძლივი დროით ბიოსფეროს რესურსების განახლებადობის ბუნებრივი შესაძლებლობების დაცვა და გაძლიერება;

— თანამედროვე და მომავალი თაობებისათვის ჯანსაღი ცხოვრების პირობების შენარჩუნება ან აღდგენა;

— ბიოსფეროს ყველა კომპონენტს შორის დინამიკური წონასწორობის შენარჩუნება ანუ ბუნებათსარგებლობის პროცესის ისე წარმართვა, რომ გამოირიცხოს ეკოსისტემების სტაბილურობის დარღვევის, ადამიანის სასიცოცხლო პირობების გაუარესების საფრთხე;

— მოსახლეობაში იმ თვითშეგნების ჩამოყალიბება, რომ საქართველოს ტერიტორია მის ბუნებრივ სიმდიდრეებთან მთლიანობაში წარმოადგენს უმაღლესი ზნეობრივი და მატერიალური ფასეულობის კომპლექსურ რესურსს;

— თანამედროვე და მომავალი თაობების მიერ ისეთ გარემოში ცხოვრების სრული უფლების საკანონმდებლო წესით გარანტირება, რომელიც განაპირობებს საზოგადოების ჰარმონიულ ფიზიკურ და სულიერ განვითარებას;

— სახალხო მეურნეობის განვითარების დაფუძნება რესპუბლიკის ბუნებრივი რესურსების რეალურ რაოდენობასა და მდგომარეობაზე;

— რესპუბლიკის სამეცნიერო პოტენციალისა და კულტურულ-ისტორიული ტრადიციების ჯეროვნად შეფასება და მათი მაქსიმალური ეფექტიანობით გამოყენება;

— ბუნებრივი სისტემების სტრუქტურის, დინამიკისა და ევოლუციის ძირითადი კანონზომიერებების გათვალისწინება;

— ტექნოლოგიური პოლიტიკის წარმართვისა და განხორციელების დროს ეკოლოგიური აუცილებლობიდან გამომდინარე პირობებისა და შეზღუდვების უზენაესობის უზრუნველყოფა;

— მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის წარმართვა ეკოსისტემების მდგრადობის გათვალისწინებით;

— თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის თავისებურებების სრულად გათვალისწინება ბუნებათსარგებლობის პოლიტიკის გატარებისას;

— საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად გლობალური ეკოლოგიური უსაფრთხოებისა და საყოველთაო ნდობის ატმოსფეროს შექმნა;

— გათვითცნობიერება იმისა, რომ გარემოს დაცვა წარმოადგენს საზოგადოების ზნეობრივ და მოქალაქეობრივ მოვალეობას.

1. გარემოს დაცვისა და ბუნებათსარგებლობის თანამედროვე მდგომარეობა

1. 1. საბჭოური პოლიტიკური წყობის თავისებურებებიდან გამომდინარე (პარტიული და პიროვნული დიქტატი, მართვის უკიდურესად ბიუროკრატიზებული ფორმა; დაქვემდებარების მკაფიოდ გამოხატული ცენტრალიზაცია; ბუნებათსარგებლობაზე კონტროლის ფორმალური, ძირითადად მბრძანებლურ-ადმინისტრაციული წესი; ბუნებისდაცვითი კანონმდებლობის არასრულყოფილობა და სხვა) სახალხო მეურნეობის მართვის ფუძემდებლურ პრინციპს დღემდე შეადგენს დაგეგმვის მკაცრად რეგლამენტირებული წესი, რამაც, საბოლოოდ, გეგმიური ციფრების ფეტიშიზაციაც კი დაამკვიდრა. ასეთი მიდგომის მანკიერებამ ლოგიკურად იჩინა თავი ისეთი სისტემის არარსებობაში, რომელიც მწარმოებელს ბუნებრივი სიმდიდრის რაციონალური გამოყენებით დააინტერესებდა. ამიტომ, სახალხო მეურნეობის ბუნებათმოსარგებლე დარგების ინტენსიფიკაცია ხშირად იაფი, უმეტესწილად კი უფასო ბუნებრივი რესურსების ხარჯზე ხდებოდა.

1. 2. სოციალური და ეკონომიკური განვითარების გაუწონასწორებლობის შედეგად ჩვენში ამჟამად ადგილი აქვს ეკოლოგიური ვითარების გაუარესებას, რამაც არა ერთგან ეკოსისტემებისა და ლანდშაფტების სტრუქტურებში მნიშვნელოვანი უარყოფითი შედეგები გამოიწვია. მაგალითად: ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა დაჭერა და გაუვნებელყოფა სანახევროდაც ვერ ხერხდება მაშინ, როდესაც მისი რაოდენობა ატმოსფეროში მნიშვნელოვნად გაიზარდა და 1990 წლისათვის 1300 ათას ტონას გადააჭარბა. ამის გამო ჰაერის გაჭუჭყიანების მაღალი დონე აღინიშნება საქართველოს თითქმის ყველა მსხვილ ქალაქსა თუ სამრეწველო ცენტრში; ჰაერის გაჭუჭყიანების ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს საავტომობილო ტრანსპორტის გამონაბოლქვი, რომლის წილი, მაგალითად, თბილისისა და სოხუმის საჰაერო აუზის გაჭუჭყიანებაში 87-82 %-ია.

დღეისათვის რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში 500-მდე სამრეწველო და 400-მდე სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ობიექტია, რომლებიც 300 მილიონ კუბურ მეტრზე მეტ გაუწმენდავ წყალს უშვებენ წყალსატევებში; ამას გარდა 100-ზე მეტი მსხვილი დასახლებული (მათ შორის საკურორტო) პუნქტებიდან ცენტრალიზებული კანალიზაცია მხოლოდ მესამედს აქვს; დაბინძურების განსაკუთრებულად მაღალი დონით ხასიათდება მტკვრის, რიონის, ყვირილას წყლები; უყაირათო ხარჯვის გამო წყლის რესურსების დანაკარგი ყოველწლიურად 700-მდე მილიონ კუბურ მეტრს შეადგენს.

მძიმე მდგომარეობაა მიწის რესურსების დაცვის საქმეშიც — ეროზიული პროცესებისაგან დაცვას საჭიროებს 900 ათასზე მეტი ჰექტარი მიწის ფართობი (სავარგულების საერთო ფართის 30 %); მეწყერსაშიში უბნების საერთო ფართობი 10 ათას ჰექტარს აღემატება; 230 დასახლებული პუნქტი ზვავსაშიშ ზონებშია განლაგებული; 2600 ჰექტარს მიაღწია დარღვეული, სარეკულტივაციო მიწების საერთო ფართობმა; რიგი ქალაქების გარშემო შეინიშნება მძიმე ლითონებით ნიადაგის დაბინძურების ტენდენცია.

წიაღის არარაციონალური გამოყენების მიზეზით მოპოვებული წიაღისეულიდან სასარგებლო კომპონენტების ყოველწლიური დანაკარგი 20-დან 70%-მდე მერყეობს.

ტყის დაავადებათა კერები დაახლოებით 40 ათას ჰექტარს მოიცავს, ბიოლოგიური მეთოდებით მათი დაცვა კი მხოლოდ 25%-ზე ხერხდება;

საქართველოს რესპუბლიკის წითელ წიგნში შეტანილია ცხოველთა 65 და მცენარეთა 151 სახეობა.

2. რაციონალური ბუნებათსარგებლობის ძირითადი მიზნები

საქართველოს ტერიტორიის ფიზიკურ-გეოგრაფიული, კლიმატური თუ სხვა ბუნებრივი პირობების მრავალფეროვნება, ისტორიულად ჩამოყალიბებული ეთნოკულტურული ურთიერთობების ხასიათი და ფორმები მნიშვნელოვანწილად განაპირობებენ რესპუბლიკის მოსახლეობის სასიცოცხლო გარემოს მდგომარეობასა და მასზე ადამიანის ზემოქმედების თავისებურებებს. ამდენად, რაციონალური ბუნებათსარგებლობის სპეციფიკა ამ თავისებურებებს უნდა ითვალისწინებდეს და დამყარებული ბუნებრივი წონასწორობის შენარჩუნებას უნდა ემსახურებოდეს ბუნების ცალკეული კომპონენტის დაცვა-აღწარმოების გზით;

2. 1. მიწის დაცვისა და რაციონალური გამოყენების ძირითად მიზანს წარმოადგენს ნიადაგის, როგორც ადამიანის საარსებო რესურსების წარმომქმნელი ბიოლოგიური გარემოს შენარჩუნება და მისი ნაყოფიერების გონივრული ამაღლება.

2. 2. წიაღის რაციონალური გამოყენების ძირითად მიზანს წარმოადგენს მისი დაცვა ადამიანის საქმიანობის ნებისმიერი მავნე შედეგებისაგან, წიაღისეულის რაციონალური, კომპლექსური და ეკონომიკურად მიზანშეწონილი გამოყენება გარემოსათვის მინიმალური ზიანის მიყენებით.

2. 3. წყლის რესურსების დაცვისა და რაციონალური გამოყენების ძირითად მიზანს წარმოადგენს მოსახლეობისა და სახალხო მეურნეობის საჭირო რაოდენობის ხარისხიანი წყლით მომარაგება და წყლის რესურსების რაოდენობისა და ხარისხის დაცვის უზრუნველყოფა.

2. 4. ატმოსფერული ჰაერის დაცვისა და რაციონალური გამოყენების ძირითად მიზანს წარმოადგენს სუფთა ჰაერით ადამიანისა და ბუნების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება, ადამიანისა და ბუნებისათვის საზიანო ხმაურის, რადიაქტიური გამოსხივებისა და სხვადასხვა გამონაყოფების უსაფრთხო დონემდე დაყვანა.

2. 5. ტყის რესურსების დაცვისა და რაციონალური გამოყენების ძირითად მიზანს წარმოადგენს მათი სოციალურ-ეკოლოგიური ფუნქციებისა და ბუნებრივი წონასწორობის შენარჩუნება.

2. 6. მცენარეულობის, მათ შორის არამერქნიანთა, რესურსების დაცვისა და რაციონალური გამოყენების ძირითად მიზანს წარმოადგენს საქართველოს ფლორის მრავალსახეობის შენარჩუნება, ბიოლოგიური ნაყოფიერების განმსაზღვრელი ბუნებრივი პირობების უზრუნველყოფა.

2. 7. ცხოველთა სამყაროს დაცვის ძირითადი მიზანია საქართველოსათვის დამახასიათებელი ფაუნის გენეტიკური მრავალსახეობის შენარჩუნება და მათი აღწარმოებისათვის საჭირო პირობების დაცვის უზრუნველყოფა.

2. 8. ისტორიულ-კულტურული გარემოსა და ბუნების თვითმყოფადობის შენარჩუნების წინაპირობას არა მარტო ცალკეული ეკოსისტემების, არამედ ტერიტორიების გონივრული გამოყენებაც ქმნის. ამის შესაბამისად, ნაკრძალი ტერიტორიების გამოყოფა მიზნად ისახავს ბუნებრივი რესურსების, ბიოცენოზების, ცალკეული ობიექტების, დამყარებული ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნებას.

2. 9. დაცვის ობიექტებად ცალკეული ეკოსისტემის მიჩნევა განპირობებულია მის ფარგლებში ბუნების კომპონენტების მკაფიოდ განსხვავებული კომპლექსის არსებობით, რაც ასევე განსხვავებული და მიზანმიმართული სტრატეგიის აუცილებლობას გულისხმობს. ასეთად მიჩნეულია შავიზღვისპირეთის რეგიონი, რომელიც ბუნებრივ პროცესებში ადამიანის ჩარევაზე მტკივნეული რეაგირების გამო სამეურნეო საქმიანობისა და ბუნებათსარგებლობის შეზღუდვის სპეციალურ რეჟიმს მოითხოვს; ასევე მყიფე და ფაქიზია მთის ეკოსისტემა, განსაკუთრებით ტენიანი მაღალმთიანეთისა (სვანეთი, აჭარა, რაჭა), რომლის ფარგლებში ბოლო ხანს ფატალური თანამიმდევრობით მომხდარ სტიქიურ უბედურებათა ციკლი ანთროპოგენურ ზემოქმედების მნიშვნელოვან როლზე მიგვანიშნებს; უმნიშვნელოვანესთაგანს განეკუთვნება აგლომერაციების ეკოლოგიის პრობლემაც.

2. 10. განსაკუთრებული მნიშვნელობის ეკოლოგიურ პრობლემად მიჩნეულია გარემოს რადიაქტიური დაბინძურების საკითხი, მისი მავნე ზემოქმედების უნივერსალურობისა და მძიმე შედეგების გათვალისწინებით. პრობლემის სიმწვავე აპირობებს მისი გადაწყვეტისათვის ღონისძიებათა მთელი კომპლექსის ამოქმედების აუცილებლობას.

3. გარემოს დაცვისა და ბუნებათსარგებლობის ახლებური სისტემის კონცეპტუალური საფუძვლები

3. 1. საქართველოში შექმნილი მძაფრი ეკოლოგიური ვითარების რადიკალურად გამოსწორების აუცილებლობა მოითხოვს გარემოს დაცვისა და გონივრული ბუნებათსარგებლობის ახლებური სისტემის შექმნასა და ამოქმედებას. იგულისხმება, რომ ასეთი სისტემა სახალხო მეურნეობის განვითარების დოქტრინის შემადგენელი ნაწილი იქნება, ხოლო მისი პრაქტიკული განხორციელება ბუნებათსარგებლობის ისეთი კომპლექსური მექანიზმის საშუალებით მოხდება, რომლის ფუნქციონირება პირველ რიგში მოსარგებლეს დააინტერესებს ბუნების დაცვითა და ბუნებრივი რესურსების გონივრული გამოყენებით.

3. 2. გარემოს დაცვისა და ბუნებათსარგებლობის ახლებური სისტემის **პოლიტიკური** საფუძველი განსაზღვრულია საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციით, რომლის თანახმად რესპუბლიკის ტერიტორიის ფარგლებში ბუნებრივი რესურსები საქართველოს სახელმწიფო საკუთრებაა და, ამდენად, რესპუბლიკის ბუნებრივი სიმდიდრის ერთადერთი განმკარგულებელი საქართველოში მცხოვრები ხალხია. მასვე ეკისრება მთელი პასუხისმგებლობა მისი მოვლა-პატრონობის, აღდგენისა და გამრავლებისათვის; ამ პოლიტიკური საფუძვლის ქვაკუთხედი უნდა გახდეს საქართველოს ტერიტორიის ბირთვული, ქიმიური, ბაქტერიოლოგიური იარაღისაგან რეალური განთავისუფლება, განადგურების მასობრივი საშუალებებისაგან თავისუფალ ზონად მისი გამოცხადება და ასეთი სტატუსის საერთაშორისო ცნობა.

3. 3. საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებათსარგებლობის ეროვნული კონცეფცია ითვალისწინებს ბუნებათსარგებლობის სისტემის ძირეულ გარდაქმნას, რომლის ქმედითობის **იურიდიულ-სამართლებრივი** გარანტიები ახალმა საკანონმდებლო საფუძველმა უნდა შექმნას. ასეთი სისტემის ჩამოყალიბებისა და ქმედუნარიანობის უზრუნველყოფის პირობები შემდეგ ძირითად კანონთა ერთობლიობამ უნდა შექმნას: საწარმოო ძალთა და წარმოების საშუალებათა პრივატიზაციის, საკუთრების ფორმების, საბაზრო ეკონომიკის ურთიერთობათა განმსაზღვრელი, ბუნებრივ რესურსებზე ფასწარმოქმნის, საბანკო, საბეგარო სისტემის, მიწის, წყლის, ტყის, წიაღის, გარემოს დაცვისა და ბუნებათსარგებლობის შესახებ და ა. შ. ბუნებრივ რესურსებზე საკუთრების ფორმების განსაზღვრისას იურიდიულად მკაფიოდ უნდა იყოს ჩამოყალიბებული რაციონალური ბუნებათსარგებლობისა და გარემოს დაცვის პრიორიტეტები; მსოფლიოს ხალხთა შორის ღირსეული ადგილის მოსაპოვებლად საჭიროა შეიქმნას სადღეისო ან მომავალი საერთაშორისო შეთანხმებების, საერთაშორისო ორგანიზაციების გადაწყვეტილებებისა და რეკომენდაციების რეალიზაციის კანონმდებლური საფუძველი.

3. 4. ეკოლოგიურ პრობლემებთან დაკავშირებით სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ძირითად მიზანს წარმოადგენს ეკოსისტემებისა და მათზე გავლენის მომხდენი ბუნებრივი და ტექნოლოგიური ფაქტორების, დამაბინძურებელი ნივთიერებების ტრანსფორმაციისა და გავრცელების ყოველმხრივი შესწავლა, გარემოზე ყველა ფაქტორების შესაძლო ზემოქმედების შედეგების პროგნოზირება და ეკოსისტემათა წონასწორობის შენარჩუნების ღონისძიებათა შემუშავება.

სახელმწიფოებრივ დონეზე უნდა განხორციელდეს ენერგიის ეკოლოგიურად უვნებელი სახეების ((მზის, ქარის, ზღვის მოქცევის ენერგია, სიღრმული სითბო და ა. შ.) არატრადიციული ფორმებით ფართოდ გამოყენების სფეროში მეცნიერული კვლევის მეურვეობა.

მიმდინარე ეტაპზე პირველხარისხოვან პრობლემად უნდა იყოს მიჩნეული ეკომონიტორინგის ჩამოყალიბებისათვის საჭირო საინფორმაციო სისტემის სამეცნიერო-მეთოდური უზრუნველყოფის კვლევითი სამუშაოები.

გადაუდებელ საჭიროებას წარმოადგენს რესპუბლიკის ფიზიკურ-გეოგრაფიული თავისებურებებისა და რეალური ეკოლოგიური სიტუაციის შესაბამისი ნორმატიული ბაზის შექმნა. ამ თვალსაზრისით აუცილებელია ინტენსიური კვლევითი სამუშაოების ჩატარება ბუნების ცალკეული კომპონენტებისა და გარემოს ხელყოფის განმსაზღვრელი ეკონომიკური ნორმატივებისა და მათი შესაბამისი გადასახადების დადგენის მიზნით, რომლის დროსაც მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ბუნებრივი რესურსების გავრცელების, ათვისებისა და განახლებადობის შესაძლებლობის პირობები, კომპლექსურობა, გამოსავლიანობა, ადგილსამყოფელი, შემცველი ან მეორადი ნედლეულის არსებობა, სადღეისო და პერსპექტიული მოთხოვნა, სტრატეგიული მნიშვნელობა და სხვა ფაქტორები.

3. 5. განახლებადობის თვალსაზრისით ბუნებრივ კომპონენტთა რესურსების სხვადასხვა ტიპის: მუდმივი (მზის, ქარისა და ზღვის ტალღების ენერგია, დედამიწის სიღრმული სითბო, კოსმოსური რადიაცია), პირობითად ულევი (ოკეანის წყალი, ლითოსფეროს ქერქი), ძნელად აღდგენადი (ნიადაგი, მცენარეული საფარი), განახლებადი (მიწისქვეშა, ზედაპირული წყალი), განუახლებადი (მყარი წიაღისეული, გაზი, ნავთობი) — არსებობა გულისხმობს მათი გამოყენებისადმი დიფერენცირებულ, მეცნიერულად დასაბუთებულ მეთოდოლოგიურ მიდგომას.

3. 6. ეკონომიკური სისტემის რადიკალური გარდაქმნის საბოლოო მიზანს შეადგენს გონივრული გადაწყვეტა სოციალურ პრობლემათა რიგისა, რომელთა შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესთაგანია მოსახლეობის ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფა. ეს უკანასკნელი ზოგადსაკაცობრიო სიკეთეა, ადამიანის კონსტიტუციურ უფლებათა რიგს განეკუთვნება და ამდენად, მასზე ვერ გავრცელდება საკუთრების როგორიც არ უნდა იყოს ფორმები. შესაბამისად, გარემოს დაცვის საქმეში საბაზრო ეკონომიკის კანონების დანერგვა შემოისაზღვრება ეკოლოგიური უსაფრთხოების სოციალურად გარანტირებული დონის მიღწევის ამოცანებით. ამის სარეალიზაციოდ მოწოდებული ეკონომიკური მექანიზმი სხვადასხვა მიზნობრივი დანიშნულების შემდეგი სისტემების კომპლექსს წარმოადგენს:

3. 6. 1. ბუნებრივი რესურსების (მიწა, წიაღისეული, ჰაერი, წყალი, ტყე, მცენარეული საფარი, ცხოველთა სამყარო) რაციონალური გამოყენების სტიმულირების სისტემის ამოქმედების ეკონომიკური ბერკეტი ორგვარი დანიშნულების გადასახადების შემოღებამ უნდა დაამკვიდროს. ასეთებია:

— გადასახადი ბუნებრივი რესურსებით დადგენილი ნორმების ფარგლებში სარგებლობისათვის, რომელიც განისაზღვრება რესურსების კადასტრული შეფასებისა და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით;

— გადასახადი ბუნებრივი რესურსების ზენორმატიული ოდენობით გამოყენებისათვის დგინდება რესურსების პოტენციური შესაძლებლობების გათვალისწინებით და მნიშვნელოვნად უნდა აღემატებოდეს ნორმატივების ფარგლებში გამოყენებისათვის დაწესებულ ოდენობას.

3. 6. 2. გარემოს ცალკეული კომპონენტის დაბინძურებისაგან (ჩამდინარე წყლებით, შხამქიმიკატებით, მინერალური სასუქებით, მავნე გამონაბოლქვებით, სამრეწველო და საყოფაცხოვრებო ნარჩენებით და სხვა) დაცვის სტიმულირების სისტემა, რომელიც ეკოსისტემების ზღვრულ შესაძლებლობებს უნდა ითვალისწინებდეს, გადასახადების ორ სახეობას დაეფუძნება:

გადასახადი გარემოს დაბინძურებისათვის კანონით დადგენილი ან დროებით შეთანხმებული ნორმატივების ფარგლებში;

— გადასახადი გარემოს ზენორმატიული დაბინძურებისათვის. ასეთი გადასახადის ოდენობა მნიშვნელოვნად უნდა აღემატებოდეს ნორმატივების ფარგლებში დაბინძურებისათვის დაწესებულ ოდენობას;

3. 6. 3. ბუნებათსარგებლობის არაკანონიერი სამეურნეო ქმედების შედეგად ან მისი მიზეზით გამოწვეული ავარიებისაგან გარემოსადმი მიყენებული ზარალის შეფასება და ანაზღაურება უნდა მოხდეს ასეთი შემთხვევებისათვის საგანგებოდ განსაზღვრული წესის შესაბამისად.

3. 6. 4. ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და გარემოს დაბინძურებისათვის დაწესებულ გადასახადებს საქართველოს რესპუბლიკისა და მმართველობის ადგილობრივი ორგანოების მიერ მათი კომპეტენციის ფარგლებში განსაზღვრული ოდენობით იხდის, როგორც წესი, ყველა ბუნებათმოსარგებლე.

ბუნებრივი რესურსების დაწესებული ნორმატივის ფარგლებში გამოყენებისათვის გადასახადები თავს იყრიან საქართველოს რესპუბლიკის, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივ ბიუჯეტებში.

გარემოს ეკოლოგიური წონასწორობის დარღვევისათვის გადასახადების ხარჯზე ხდება ადგილობრივი და რესპუბლიკური ეკოლოგიური ფონდების ფორმირება მათი ეკოლოგიის დარგში მიზნობრივი გამოყენებისათვის.

გადასახადთა ამ კონცეფციით განსაზღვრულმა სისტემამ უნდა შექმნას ბიუჯეტის შევსების საიმედო წყარო ისეთი სამუშაოების დასაფინანსებლადაც, როგორიცაა: განახლებადი რესურსების მარაგების აღდგენა და მათი დაცვის ღონისძიებანი, წიაღისეულის სარესურსო ბაზის მომზადება ან არსებულის გაფართოება. სხვა მარაგების დაცვის ღონისძიებათაგან პრინციპული ხასიათისაა მათი კომპლექსური, რაციონალური გამოყენება, რომელიც მეთოდოლოგიური კრიტერიუმებისა და დამუშავების ტექნოლოგიების მუდმივი სრულყოფის აუცილებლობას გულისხმობს. ამასთანავე, ტექნოლოგიების სიახლისა თუ ტექნიკური გადაიარაღების მიზანშეწონილობის შეფასების გადამწყვეტი პირობა საწარმოო პროცესის ეკოლოგიურობა უნდა იყოს.

3. 6. 5. გარემოს დაცვის ღონისძიებათა ინვესტირების სტიმულირების ძირითადი ელემენტებია: მოგების დაბეგვრის შეღავათიანი წესი; ბუნებათდამცავი ობიექტებისა და ნაგებობების დაჩქარებული ამორტიზაცია; წარმოებების შეღავათიანი სუბსიდირება-დაკრედიტება და ა. შ.

ბუნებათმოსარგებლე დარგების პროდუქციის ფასების განსაზღვრისას ეკოლოგიური დანახარჯების გათვალისწინებამ უნდა დაადასტუროს წინამდებარე კონცეფციით განსაზღვრული ეკონომიკური მექანიზმის ქმედითობა იმით, რომ მიღწეული იქნება ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოებისა და რესურსების დაზოგვის სტიმულირება, რაც შესაბამისად ჩვენი ხალხის გენეტიკური წყობისა და გარემოს დაცვის სერიოზულ გარანტიებს შექმნის.

ბუნებათსარგებლობის პროცესის მართვის ყველა აღნიშნული ეკონომიკური ბერკეტების დიფერენცირებული გამოყენებით უნდა დამკვიდრდეს და ამოქმედდეს ახალი სისტემის განმსაზღვრელი პრინციპი — ბუნების ხელყოფა თვით მოსარგებლისათვის უნდა იყოს საზიანო.

3. 7. ეკოლოგიური სტრატეგიის ფუძემდებლური პრინციპებია გარემოს დაცვა და თვით ამ პროცესის კონტროლი.

გარემოს დაცვის დარგში სახელმწიფო კონტროლის ეფექტიანობის უზრუნველყოფის ძირითად ამოცანას წარმოადგენს კონტროლის ფორმალური და არაფორმალური მეთოდების ჰარმონიული შეთანაწყობა, მაკონტროლებელ ორგანოთა მუშაობის სტილისა და ფორმების ახალ მეთოდურ საფუძველზე დაყრდნობა, საკონტროლო ობიექტების მიმართ დიფერენცირებული მიდგომების შემუშავება-დანერგვა და ამით გარემოს დაცვის კონტროლის ერთიანი მეთოდოლოგიური მექანიზმის ამოქმედება.

მეურნეობრიობის ახალ, საბაზრო ეკონომიკის პირობებში ამ უკანასკნელმაც უნდა განიცადოს ტრანსფორმაცია და მისი ქმედითობის განმსაზღვრელი შემდეგი ფაქტორები გახდება: ეკონომიკური მექანიზმი, საზოგადოებრივი აზრი, ზემოქმედების ადმინისტრაციული ხერხები.

ეკონომიკური მექანიზმი, რომლის არსი უკვე გამოხატულია კონცეფციისათვის მისაღები დეტალებით, გახდება უმთავრესი იარაღი არა მარტო გონივრული ბუნებათსარგებლობისა, არამედ გარემოს დაცვის კონტროლისაც. მაგალითად, ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე საბაჟო გადასახადების პოლიტიკამ ხელი უნდა შეუწყოს ნედლეულის რესპუბლიკიდან გატანის მკაცრად შეზღუდვის კონტროლს.

საერთო და, კერძოდ, ეკოლოგიური განათლებულობა, გარემოს დაცვისადმი გონივრული დამოკიდებულების იდეების პროპაგანდა, მნიშვნელოვანი საინჟინრო განზრახულობების საჯარო განხილვა, დამოუკიდებელი ეკოლოგიური ექსპერტიზების წესად მიღება — ის ძირითადი იდეებია, რომლებმაც ბუნების დაცვისა და გონივრული ბუნებათსარგებლობის კონტროლის მნიშვნელოვანი, **საზოგადოებრივი** ზემოქმედების საფუძველი უნდა შეადგინოს. აქედან გამომდინარე, ეკოლოგიური მიზანდასახულობის საზოგადოებრივი გაერთიანებების სხვადასხვა ფორმების შექმნა და ფუნქციონირება სახელმწიფოს ზრუნვის საგანი უნდა იყოს.

რაც შეეხება **ადმინისტრაციულ** ზემოქმედებას, ეკონომიკური სანქციებისა და საზოგადოებრივი აზრის ფორმირებასთან ერთად იგი გარკვეული დროის მანძილზე კვლავ დარჩება გარემოსათვის საზიანო ქმედებების აღკვეთის ერთ-ერთ ძირითად ღონისძიებად.

კონტროლის ამგვარი მეთოდების ერთობლიობის ცხოვრებაში დამკვიდრებამ უნდა შექმნას სასიცოცხლო ინტერესების ეკოლოგიური ინფორმაციის მოსახლეობისათვის მიწოდების უზრუნველყოფის მყარი საფუძველი.

3. 8. ყველა აღნიშნული ფაქტორის სინთეზმა უნდა შექმნას ახალი ეკოლოგიური მსოფლმხედველობა, რაც პრაქტიკულ რეალიზაციას პოვებს ისეთი **სამეურნეო** მექანიზმის დამკვიდრებაში, რომლის საბოლოო შედეგი წარმოების სრული ეკოლოგიზაცია იქნება. ამ მექანიზმის ფუნქციონირების ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა სამრეწველო და საყოფაცხოვრებო, პირველ რიგში — მყარი, ნარჩენების წარმოშობის ამარიდებელი ტექნოლოგიების დანერგვა და მათი უტილიზაციის პრობლემის გადაწყვეტა.

3. 9. ბუნებათსარგებლობის ახალი სახელმწიფო სტრატეგიის ეფექტიანობის გარანტიის სერიოზული საფუძველი უნდა შექმნას რესპუბლიკის მოსახლეობის მიზანმიმართულმა ეკოლოგიურმა **განათლებამ**. ეკოლოგიური ცოდნისა და კულტურის ამაღლება უნდა განხორციელდეს აღზრდისა და განათლების საყოველთაო, კომპლექსური, უწყვეტი და ხელმისაწვდომი სისტემის ცხოვრებაში დამკვიდრებით.

4. კონცეფციის რეალიზაციის უზრუნველმყოფი ფუნქციონალური მექანიზმი

გარემოს დაცვისა და ბუნებათსარგებლობის ახლებური სტრატეგიის რეალურად ხორცშესხმა-ამოქმედება მნიშვნელოვანწილად განპირობებული იქნება დარგის მართვის ორგანიზაციულ-სტრუქტურული მექანიზმისა და მართვის სუბიექტებს შორის ფუნქციონალური კავშირების სრულყოფილებით.

სამინისტროების, უწყებების, საწარმო-დაწესებულებების, მმართველობის ადგილობრივ ორგანოთა მოღვაწეობა ამ სფეროში უნდა დაეფუძნოს ბუნებათსარგებლობის პროცესის სახელმწიფო მართვის ცენტრალიზებული და დეცენტრალიზებული მეთოდების გონივრულ შეხამებას, რისი განხორციელების დროსაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს მართვის რესპუბლიკური და რაიონული რგოლების უფლება-მოვალეობათა მკაფიო გამიჯვნის აუცილებლობას.

პირველხარისხოვან მნიშვნელობას იძენს ბუნებათმოსარგებლე დარგების სისტემებში მოქმედი ეკოლოგიური ხასიათის სამეურნეო თუ უწყებრივი საკონტროლო სამსახურების მოღვაწეობის კოორდინაცია, ერთიანი მეთოდოლოგიური მიდგომების, დარგობრივი თუ დარგთაშორისი ნორმატიული დოკუმენტების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის უახლეს მიღწევათა გათვალისწინებით.

რესპუბლიკური, რესპუბლიკათაშორისი, რეგიონალური, დარგობრივი და სხვა მსხვილი სახალხო-სამეურნეო პრობლემების გადაწყვეტისას გარემოს დაცვისა და ბუნებათსარგებლობის კონტროლს ახორციელებს საქართველოს რესპუბლიკის ეკოლოგიისა და ბუნებათსარგებლობის სამინისტრო მისდამი დაქვემდებარებული საკონტროლო-საინსპექციო, ლაბორატორიული სამსახურების საზღვაო ინსპექციების, სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის სამსახურის მეშვეობით.

ადგილობრივი მნიშვნელობის სახალხო სამეურნეო განზრახულობათა და გადაწყვეტილებათა განხორციელებისას ეკოლოგიური პრობლემების მიზანმიმართული გადაწყვეტის უზრუნველყოფა მიიღწევა პრეფექტურებისა და მმართველობის ადგილობრივი ორგანოების შესაბამისი სამსახურების მიერ საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის თანახმად.

5. დარგის განვითარების პრიორიტეტული მიმართულებანი

დარგის განვითარების პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრა სახელმწიფო ეკოლოგიური პოლიტიკის წარმატებით განხორციელების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობაა. ამდენად, მათი გამოყოფა უნდა მოხდეს ისეთი **კრიტერიუმების** საფუძველზე, რომელთა უპირატესი როლი ნებისმიერ სიტუაციაში ეჭვმიუტანელი იქნება. ასეთებად უნდა ჩაითვალონ:

— კონკრეტული რაიონის, რეგიონის ტერიტორიის ეკოლოგიური ვითარება, რომელიც უნდა დადგინდეს კომპლექსურად, მრავალკომპონენტური სისტემური შესწავლის საფუძველზე, სიტუაციის სიმძაფრის რანჟირების შედეგად პრიორიტეტული დარგების, მიმართულებების, ობიექტების, ტერიტორიების გამოყოფით;

— გარემოს მდგომარეობის სოციალური თვალთახედვით შეფასება საქართველოში არსებული დემოგრაფიული პრობლემების სიმწვავის გათვალისწინებით. მხედველობაში უნდა იყოს მიღებული არა მარტო მოსახლეობის ცნობიერებაში მომხდარი არასასურველი ძვრები და არსებობისა და თანაცხოვრების ისტორიულად ჩამოყალიბებული წეს-ჩვეულების მოშლა, არამედ დემოგრაფიული სურათის შესაძლო ცვლილებებიც;

— ეკოლოგიური წონასწორობის დარღვევის შედეგების ლიკვიდაციისა, თუ თავიდან აცილებასთან დაკავშირებული მატერიალური ზარალი, რომლის ეკონომიკური შეფასება, ბუნებრივია, მნიშვნელოვანწილად განაპირობებს პრიორიტეტთა განხორციელების რიგითობას.

აღნიშნული კრიტერიუმის გამოყენებით შესაძლო გახდება დადგენა გარემოს დაცვის **პრიორიტეტთა რიგისა**, რომელთა საბოლოო რანჟირებას საფუძვლად უნდა დაედოს ეკოლოგიური სიტუაციის შეფასება რესპუბლიკის, რეგიონისა თუ ცალკეული რაიონის ინტერესების თვალთახედვით:

— უმძიმესი ეკოლოგიური სიტუაციების (კატასტროფები, სტიქიური უბედურებები, ავარიები და ა. შ.) შედეგების ლიკვიდაციის პრიორიტეტებს განსაზღვრავს რესპუბლიკის მთავრობა და მათი განხორციელება ხდება რესპუბლიკის ბიუჯეტის ხარჯზე, საჭირო შემთხვევაში სამუშაოთა დაფინანსების სხვა წყაროების მოზიდვით;

— ისეთი პრიორიტეტების გამოყოფა, რომელთა განხორციელება მიზნად ისახავს ფართომასშტაბიანი, რესპუბლიკის დემოგრაფიული, ეკოლოგიური, სახალხო მეურნეობის განვითარების პოლიტიკის ცხოვრებაში გატარების ხელშეწყობას, ხდება დარგის მართვის სახელმწიფო რესპუბლიკური ორგანოს — ეკოლოგიისა და ბუნებათსარგებლობის სამინისტროს მიერ რესპუბლიკის მთავრობასთან შეთანხმებით. მათი რეალიზაცია უნდა მოხდეს, ძირითადად, რესპუბლიკის ცენტრალიზებული ეკოლოგიური ფონდიდან;

— ადგილობრივი პრიორიტეტების გამოყოფა ხდება მმართველობის ადგილობრივი ორგანოების მიერ შესაბამის სამსახურებთან ერთად. მათი რიგითობა უთანხმდება ეკოლოგიისა და ბუნებათსარგებლობის სამინისტროს, პრიორიტეტების პრაქტიკული რეალიზაცია ხდება ადგილობრივი (რაიონული, რეგიონალური) ბიუჯეტისა ან ეკოლოგიური ფონდების ხარჯზე და მიზნად ისახავს კონკრეტული ტერიტორიების სოციალურ-ეკოლოგიური მდგომარეობის გაჯანსაღებას.

6. დარგის განვითარების ძირითადი ეტაპები და მათი ამოცანები

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებათსარგებლობის ეროვნული კონცეფციის რეალიზაცია უნდა განხორციელდეს სამ ეტაპად:

მოსამზადებელი, რომლის განმავლობაში შეიქმნება ახალი ეკოლოგიური პოლიტიკის განხორციელების კომპლექსური საფუძველი. ამ ეტაპის ძირითადი ამოცანებია:

— გარემოს დაცვისა და ბუნებათსარგებლობის ეროვნული კონცეფციის სახელმძღვანელოდ მიღება;

— უზენაესი საბჭოს მიერ იმ საკანონმდებლო აქტების მიღება, რომლებიც დაკავშირებული არიან გარემოს დაცვისა და ბუნებათსარგებლობის პრობლემებთან;

— ბუნებრივი რესურსების რაოდენობრივი და ხარისხობრივი შეფასება, კადასტრების შედგენა ბუნების ცალკეული კომპონენტის კონკრეტული თავისებურებების გათვალისწინებით;

— ბუნებრივი რესურსების რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ გატანის სახელმწიფო რეგულირების უზრუნველმყოფი მექანიზმის შექმნა;

— თემატური თუ უწყებრივი სამეცნიერო-კვლევითი პროგრამების შედგენა; ეკოლოგიური და ეკონომიკური ნორმატივების, შეზღუდვების, ბუნებისდაცვითი ღონისძიებების სტიმულირების კრიტერიუმების განსაზღვრის მეთოდოლოგიური ასპექტების შემუშავება;

— რესპუბლიკის სამრეწველო-სამეურნეო კომპლექსის ფუნქციონირების ეკოლოგიზაციის საფუძვლების შემუშავება;

— დარგის ისეთი სტრუქტურული რეორგანიზაცია, რომელიც განაპირობებს გარემოს დაცვისა და ბუნებათსარგებლობის კონტროლის ქმედითი სამსახურის ჩამოყალიბებას;

გარდამავალი ეტაპი უნდა ესატყვისებოდეს საზოგადოებრივი წყობის ტრანსფორმაციის უზენაესი საბჭოს მიერ განცხადებულ გარდამავალ პერიოდს და მისი ხანგრძლივობა უნდა შემოიფარგლოს სახალხო მეურნეობაში საბაზრო ეკონომიკური ურთიერთობების მყარად დამკვიდრებით. ამ ეტაპის ძირითადი ამოცანებია:

— გარემოს დაცვის, ბუნებათსარგებლობისა და ეკოლოგიური ექსპერტიზის დარგში სამეცნიერო კვლევების ერთიანი სისტემის შექმნა.

— მეთოდოლოგიური, იურიდიული, ეკონომიკური ნორმატივების პრაქტიკულ საქმიანობაში აპრობირება, სრულყოფა და სახელმძღვანელოდ დაკანონება;

— სამრეწველო-სამეურნეო კომპლექსის ცალკეული მიმართულებების რესურსტევადობის შემცირება მეცნიერული პროგრესის უახლეს მიღწევათა შესაბამისად; ისეთი ტექნოლოგიების შემუშავება, რომლებიც საწარმოო ნარჩენების გამოყენებისა და რესურსების დაზოგვის საშუალებას მოგვცემს.

თუ მოსამზადებელი და გარდამავალი პერიოდების განმავლობაში გარემოს დაცვის ღონისძიებები უნდა განხორციელდეს, **ძირითადი** ეტაპი სახალხო მეურნეობის ფუნქციონირების სტაბილური ეტაპის თანხვედრი იქნება და ამ პერიოდისათვის ბუნებათსარგებლობის ახალი სისტემის არსში ჩადებული ეკონომიკური რეგულატორები საგრძნობლად ჩამოაცილებენ მას კონტროლის ფუნქციას და ეკოლოგიური სამსახურის პრეროგატივა მნიშვნელოვანწილად ამ ახალი მექანიზმის ოპტიმალური ფუნქციონირების უზრუნველყოფილი იქნება — დამკვიდრდება თვითრეგულირების წესი.

ამ ეტაპის ძირითადი ამოცანა რესპუბლიკის კონსტიტუციის, საკანონმდებლო ნორმებისა და აქტების კომპლექსის იმ ნაწილების სრულყოფა იქნება, რომლებიც გარემოს დაცვისა და ბუნებათსარგებლობას შეეხება, იმისათვის, რომ მიღწეულ იქნეს ჯანმრთელ სასიცოცხლო გარემოზე საქართველოს მოქალაქის კანონიერი უფლების რეალიზაცია.

მთავრობის მოამბე

ავტოტრანსპორტის სახელმწიფო ნომრები შეიცვლება

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ მიიღო დადგენილება აფხაზეთის ასსრ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, ქ. თბილისისა და რესპუბლიკის სხვა ორგანიზაციებისათვის ავტოსატრანსპორტო საშუალებათა სახელმწიფო სანომრე ნიშნების ცალკეული სერიების მიკუთვნების შესახებ. დადგენილებაში აღნიშნულია:

რესპუბლიკაში არსებული საავტომობილო პარკის აღრიცხვის გაუმჯობესების, გატაცებული და დანაშაულებრივი მიზნით გამოყენებული სატრანსპორტო საშუალებათა ძებნითი სამუშაოების ოპერატიულად წარმოებისა და ავტოტრანსპორტის ტექნიკური მდგომარეობის უკეთ შესწავლის მიზნით მიზანშეწონილად ჩაითვალოს საქართველოს რესპუბლიკაში არსებული ავტომოტოსატრანსპორტო საშუალებათა სახელმწიფო სანომრე ნიშნების თანდათანობითი შეცვლა აფხაზეთის ასსრ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, ქალაქების თბილისის, ქუთაისის, რუსთავის [illegible]

საქინფორმი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ

რესპუბლიკას დიდი პერსპექტივები აქვს

ანუ ხვალინდელი საქმე უნდა დავიწყოთ გუშინ

თბილისში სტუმრად იმყოფება ამერიკელი ბიზნესმენი, კალიფორნიის ნავთობის კომპანია „ბაო ოილ კორპორეიშენის“ პრეზიდენტი ბატონი ბაბრი ორენი (წიწუაშვილი). უკანასკნელ პერიოდში იგი უკვე მეხუთედ ჩამოვიდა საქართველოში. ამჟამად ბატონი ორენი შეხვდა რესპუბლიკის პრეზიდენტს ბატონ ზვიად გამსახურდიას, მთავრობის მეთაურს ბატონ თენგიზ სიგუას და სხვა ოფიციალურ პირებს. საქართველოში მოგზაურობის დროს ბატონ ორენს მასპინძლობს უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ბატონი ავთანდილ გოცირიძე და საქართველოს მშვიდობის ფონდის თავმჯდომარე ბატონი გია მეძდლიშვილი.

ბატონ ბაბრი ორენს დიდი სურვილი აქვს, საქართველოსთან მტკიცე ეკონომიკური კავშირები დაამყაროს. იგი მეთოდურად ახორციელებს ამ ამოცანებს, რომლის რეალიზაციასაც ჯერჯერობით ხელს უშლის ჩვენში არსებული ბიუროკრატიული ბარიერები. საპატიო სტუმარს მომავლის გეგმების შესახებ ესაუბრა ჩვენი გაზეთის წარმომადგენელი გურამ სიხარულიძე.



—ბატონო ბაბრი! გავიგე, რომ თქვენი სამშობლო საქართველო ყოფილა. როგორ მოხვდით ამერიკაში?

— დავიბადე ცხინვალში, შემდეგ ოჯახი თბილისში გადმოვიდა საცხოვრებლად, სადაც დავამთავრე ჯერ 68-ე საშუალო სკოლა, შემდეგ კი სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტი. ამის შემდეგ ოჯახი ისრაელში გაემგზავრა. რამდენიმე წელი ევროპის ქვეყნებში ვცხოვრობდი, შემდეგ კი შეერთებულ შტატებში გავემგზავრე, სადაც 1984 წლის 18 მაისს დავაარსე კალიფორნიის ნავთობის კომპანია „ბაო ოილ კორპორეიშენი“.

შეერთებულ შტატებში გავიცანი ბატონი ავთანდილ გოცირიძე, რომლისგანაც შევიტყვე, რომ საქართველოს ძალიან უჭირს ნავთობპროდუქტების მიღება. ბატონ ავთანდილს შევპირდი, ერთ წელიწადში თბილისში ჩამოვალ და ამ საქმეს მივხედავ-მეთქი. იმავე საღამოს შევუდექი მუშაობას, დავუკავშირდი გეოფიზიკის, ბურღვისა და ნავთობის დაზვერვის სპეციალისტებს. თბილისში შარშან ივლისში ჩამოვედი და ბევრი წვალების შემდეგ, როგორც იქნა, გავედი საჭირო ხაზზე. გავიცანი „საქნავთობის“ ხელმძღვანელი ბატონი რევაზ თევზაძე, რომლის ორგანიზაცია ჯერჯერობით მოსკოვს ექვემდებარება. ამჟამად საქმე საკმაოდ კარგად მიდის და თუკი რესპუბლიკის ხელმძღვანელობიდან შესაბამისი გარანტიები მექნება, 5-6 წელიწადში საქართველო ნავთობპროდუქტებით უზრუნველყოფილი იქნება.

— ძალიან დამაიმედებლად საუბრობთ. ხომ ვერ დაგვისახელებდით იმ ამერიკული ნავთობის ფირმებს, რომლებიც ჩვენთან დაიჭერენ საქმეს?

— ამ საკითხზე მეტს აღარ ვილაპარაკებ, რადგან იგი ჯერჯერობით პროფესიული საიდუმლოებაა. თბილისში გავიცანი უნივერსიტეტის რექტორი ბატონი ნოდარ ამაღლობელი, რომელმაც მთხოვა უმაღლეს მენეჯერთა სკოლაში მარკეტინგის შესახებ ლექცია წამეკითხა. ლექციის შემდეგ მომცეს 100 მანეთი, რომელსაც კიდევ 200 მანეთი დავუმატე და მერაბ კოსტავას სახელობის ფონდში ჩავრიცხე. უნივერსიტეტში ყოფნის დროს კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, თუ რა დიდი პოტენციური შესაძლებლობა აქვთ ქართველ მეცნიერებს. საქართველო, თუ შეიძლება ასე ითქვას, ჩაწოლილი ინტელექტის ქვეყანაა, მას გასაქანი სჭირდება. ამჟამად უნივერსიტეტის რექტორს გადავეცი კალიფორნიის ქალაქ მალიბუში არსებული პეპერდაინის უნივერსიტეტის რექტორის მიმართვა „პარტნიორული ურთიერთობების“ შესახებ. იგი გულისხმობს უნივერსიტეტების პროფესორების გაცვლას. ეს იქნება ე. წ. „უვალუტო გაცვლა“. ამას გარდა მე ყურადღება მივაქციე საქართველოს საავიაციო საქმეს. საკუთარი ავიაციის გარეშე საქართველო მეზობელ თუ შორეულ ქვეყნებთან ეკონომიკურ კავშირებს ვერ დაამყარებს. საქართველოს სჭირდება საკუთარი თვითმფრინავები, მაგრამ ამჟამად მათი შეძენის საშუალება არა აქვს. ეს რთული საქმეა, მაგრამ მამაჩემი იტყოდა ხოლმე, ხვალინდელი საქმე უნდა დავიწყოთ გუშინ. საქართველოს შეუძლია დაიქირაოს უცხოური თვითმფრინავები და საერთაშორისო რეისებზე გამოიყენოს. თუ ამ თვითმფრინავებს საკავშირო რეისებზე გამოიყენებთ, ისინი დაზიანდებიან და საერთაშორისო ხაზებზე აღარ ივარგებენ. შემდეგ შესაძლებელია თვითმფრინავები იყიდოთ, ამის შემდეგ კი შეიძლება საკუთარი თვითმფრინავების დამზადება. ეს არის ჩემი ჩანაფიქრი. იგი ბატონ ზვიად გამსახურდიას გავუზიარე, რაც თბილად იქნა მიღებული.

ამას გარდა ვფიქრობ ბირჟის დაარსებას. ამის განხორციელება პრივატიზაციის შემდეგ იქნება შესაძლებელი. საჭიროა, რომ ძირითადად სტრატეგიული და ჩვეულებრივი ქონება ხალხის ხელში გადავიდეს, ამისათვის საჭიროა სისტემა. ჩვენ ჩამოვიტანთ ბირჟის ფუნქციონირების ამერიკულ სისტემას, მისი რეალიზაციისათვის საჭირო გახდება ქართული ფულის კონვერტირება. ბირჟის შექმნის საქმე დაწყებულია და ხელში მაქვს პირველი საბუთი, ამას დასჭირდება მთავრობის მხარდაჭერა.

საქართველოში წინა ჩამოსვლისას გავიცანი უზენაესი საბჭოს ერთ-ერთი კომისიის თავმჯდომარე ბატონი გივი თაქთაქიშვილი. მასთან საუბრის დროს გადაწყდა თბილისში კომპიუტერული ქარხნის დაარსება. ამის თაობაზე ლაპარაკი უკვე მქონდა ერთ-ერთ ამერიკულ კომპანიასთან. ქარხნის დაარსების შემდეგ საქართველოს თავისი წილი ექნება, ისევე როგორც უცხოელებს. კომპიუტერების ნაწილი საზღვარგარეთ გაიყიდება და საქართველოს ვალუტის წყარო ექნება.

— ბატონო ბაბრი, საქართველოში ბევრი რამის დეფიციტია, მაგრამ უახლოეს დროში ცენტრის ბლოკადის შედეგად შეიძლება ისე მოხდეს, რომ ჩვენ გაზეთის ქაღალდის გარეშე დავრჩეთ. შესაძლებელია თუ არა საქართველოში გაზეთის ქაღალდის ქარხნის დაარსება?

— საქართველოში ყველაფრის დაარსება შეიძლება, მათ შორის გაზეთის ქაღალდის ქარხნისაც. ამისათვის საჭიროა შესაბამის ამერიკულ ფირმებზე გასვლა. მოგეხსენებათ, რომ დასავლეთში კომერციულ რეპუტაციას უდიდესი ფასი აქვს. იგი საქმის ნახევარია. მე რომ მათ ვთხოვო საქართველოში გაზეთის ქაღალდის წარმოება, უნდა მქონდეს საქართველოს მთავრობიდან გარანტია, რომ ეს ქარხანა ნედლეულით ყოველთვის უზრუნველყოფილი იქნება. დღეს თქვენთან კიდევ შეინიშნება ბიუროკრატიული ბარიერები და საქმისადმი არაპროფესიული მიდგომა. იმედი მაქვს, რომ ეს საკითხი მოკლე დროში მოგვარდება და საქართველოში აშენდება არა მარტო ქაღალდის ქარხანა, არამედ ტელეფონების ქარხანაც, გაუმჯობესდება სატელეფონო და კავშირგაბმულობის სხვა საშუალებების მუშაობა, რაც ასე საჭიროა ბიზნესის საქმეში. ამ მიმართებით საქართველოს დიდი პერსპექტივები აქვს.

საკუთარ სახლში

მოხდება თუ არა ცვლილებები ვიზებისა და რეგისტრაციის განყოფილების წესებში?

შეგვეხება თუ არა ჩვენ, საქართველოს რესპუბლიკის მცხოვრებლებს საზღვარგარეთ წასვლისა და შემოსვლისათვის საბუთების გაფორმებისას სახელმწიფო ბაჟის გადახდევინების წესისა და ოდენობის შესახებ სსრ კავშირის მინისტრთა კაბინეტის მორიგი დადგენილების გამკაცრება? ამ კითხვას უპასუხებს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს საპასპორტო და ვიზებისა და რეგისტრაციის განყოფილების უფროსი გივი ინჯია.

— ეს დოკუმენტი, — თქვა მან, — 29 ივლისს დაიბეჭდა სსრ კავშირის ცენტრალურ გაზეთებში და ძალაში შევიდა პირველი ივლისიდან; როგორც თვით დოკუმენტიდან ჩანს, რეგისტრაციაში კი საბჭოთა მთავრობამ 8 ივლისს გაატარა. ასეთი „ლოგიკური“ თანამიმდევრობის მიუხედავად, დადგენილების შინაარსი ვრცელი ხასიათისაა, რომლიდანაც ბევრ რამეს ვერ გაიგებ. ამიტომ, შესაბამისად, ჩვენ ვერ გამოვიყენებთ ამ დოკუმენტს. ყოველ შემთხვევაში, ის პირები, რომელთა გასამგზავრებელი საბუთები ჩვენთან არის, სახელმწიფო ბაჟს ძველი საფასურით გადაიხდიან. ამ საკითხში შემდგომ ცვლილებებს წინასწარ შევატყობინებთ რესპუბლიკის მოსახლეობას.

— და კიდევ, — თქვა შემდეგ გ. ინჯიამ, — მინდა ვთქვა, რომ რესპუბლიკის მოსახლეობაში გავრცელდა ხმები, თითქოს თურქეთში ერთი და იმავე მიწვევით მის მფლობელს უფლება აქვს არაერთგზის გაემგზავროს. ეს სწორი არ არის და საერთო არა აქვს რა იმასთან, რაც ახლახან დააკანონა თურქეთის მთავრობამ სსრ კავშირიდან, კერძოდ, საქართველოს რესპუბლიკიდან, ამ ქვეყანაში მიმავალი მოქალაქეებისათვის.

მხედველობაში მაქვს ის, რომ აღარ არის საჭირო კონსულის ბეჭდის დარტყმა გასამგზავრებელ დოკუმენტებზე. საქმე ის არის, რომ ჩვენი რესპუბლიკის ყოველ მცხოვრებს, რომელიც თურქეთში მიემგზავრება, ასეთი მორიგი მოგზაურობის დროს უნდა ჰქონდეს თურქეთიდან ახალი ოფიციალური მიწვევა, რომელსაც არ სჭირდება საკონსულო შემოწმება. მაგრამ, ვიმეორებ, გამგზავრების ნებას მხოლოდ ჩვენ დავრთავთ.

თენგიზ ჩხიკვაძე,
საქინფორმის კორ.

საზღვარგარეთ

სხვა გაზეთიდან

საქართველო მის გულში

ლეგენდარული მოგზაური, ჯარისკაცი და თავგადასავლების მაძიებელი სერ ფიცროი მაკლინი ძალზე კარგად იცნობს საქართველოს რესპუბლიკას. იგი როგორც ახალგაზრდა დიპლომატი პირველად 1937 წელს მიავლინეს იქ. უკანასკნელ ხანს, საქართველოში მრავალჯერ მოგზაურობის შემდეგ, ფიცროი მაკლინი ამ ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის მოწმე გახდა. მოგზაურობამ მას გააცნო როგორც საქართველოს საშინაო პოლიტიკა, ისე ევროპის ამ ერთ-ერთი კუთხის მომხიბლავი, პირველყოფილი ბუნება.

„თქვენ ამჩნევთ, რომ აქ რაღაც აკლია, — მითხრეს მეგობრებმა, რომლებიც თბილისის აეროპორტში დამხვდნენ, — იგი ათი დღის წინ აიღეს“. ეს მართლაც ასე იყო: ლენინის უზარმაზარი ბრინჯაოს ქანდაკება გაშვერილი ხელით, რომელიც მე მახსოვდა საქართველოში პირველი ჩამოსვლიდან, აღარ დამხვდა. „ამას ჯერ კიდევ ლენინის მოედანი ჰქვია?“ — ვიკითხე მე. „— არავითარ შემთხვევაში, ახლა ეს თავისუფლების მოედანია“. ერთი შეხედვით, გასულ შემოდგომაზე საქართველოს მზიან დედაქალაქში ცხოვრება ჩვეულებრივ მიედინებოდა. ახალგაზრდები, რომლებიც საღამოობით სეირნობდნენ რუსთაველის გამზირზე, როგორც ყოველთვის, ლამაზები და კარგად ჩაცმულები იყვნენ. ელეგანტურ სახლებში კი სასიამოვნო წვეულებები იმართებოდა. რესტორნები და კაფეები სავსე იყო ხალხით, მიუხედავად იმისა, რომ ბენზინი შემცირდა, გზებზე უფრო მეტი კერძო მანქანა დაჰქროდა.

მაგრამ ჰაერში ახალი სული ტრიალებდა, იგრძნობოდა ერთგვარი შთაგონება და ამასთან ერთად გარკვეული დაბნეულობა და დაძაბულობა. ოფიციალური საბჭოთა დროშა მხოლოდ თბილისის ქალაქკომისა და მთავრობის სახლზე ფრიალებდა, სხვაგან იგი დამოუკიდებელი საქართველოს დროშით იყო შეცვლილი. საქართველოს უზენაესი საბჭოს მოახლოებულ არჩევნებში მონაწილე ახალი პარტიების პროგრამები, მრავალრიცხოვანი წინასაარჩევნო პლაკატები არწმუნებდნენ ამომრჩევლებს, ხმა მიეცათ მათთვის და არა ოდესღაც ყოვლისშემძლე კომუნისტებისთვის.

„— რამდენი პოლიტიკური პარტიაა დღეს თქვენთან?“ — ვიკითხე მე. „— უკანასკნელი მონაცემებით — დაახლოებით 135, ორი ქართული მონარქისტული პარტიის, მწვანეთა რამდენიმე ჯგუფისა და ნეოსტალინისტური პარტიის ჩათვლით“. „— ცუდი არ არის 5-მილიონიანი ქვეყნისთვის, მაგრამ მხოლოდ 35 ღებულობს მონაწილეობას არჩევნებში“. „— რაც შეეხება უკიდურეს ნაციონალისტებს, — ისინი ბევრნი არიან. ერთადერთი კითხვა იმაში მდგომარეობს, საკმარისი არიან თუ არა ისინი, რომ სწრაფად გამოიყვანონ საქართველო სსრკ-დან“ „— კეთდება რაიმე მათი აქტიურობის შესაზღუდად?“. „— გულახდილად რომ ვთქვათ, ხელისუფლებას არ ძალუძს რაიმე სერიოზული წინააღმდეგობის გაწევა. გაიხედეთ იქით“.

ჩვენ მთაწმინდაზე ვავახშმობდით, ქალაქის თავზე აღმართულ წმინდა მთაზე, და უამრავ მოციმციმე სინათლეს ვუცქერდით. მოულოდნელად ავარდა დიდი საშინელი წითელი ალი — „კიდევ ერთი პოლიტიკური ხანძარი“.

მაღაზიებში სურსათის ნაკლებობაა, ერთადერთი ადგილი, სადაც რაიმეს შოვნა შეიძლება, ბაზარია. ახლა კი მწვანეები ცდილობენ ისიც დახურონ იმის გამო, რომ გლეხები პესტიციდებს იყენებენ.

1937 წელს ახალგაზრდა დიპლომატი პირველად ჩავედი საქართველოში. მაშინ სტალინს დიდი ძალაუფლება ჰქონდა და მისი შესანიშნავი დედა, 100 წელს მიტანებული, ჯერ კიდევ თბილისში ცხოვრობდა. მე ძალიან მომეწონა საქართველო, ჩემთვის ყველაზე მეტად საყვარელი საბჭოთა რესპუბლიკა. მისი, როგორც დამოუკიდებელი სამეფოს ისტორია და ტრადიციები სამი ათას წელზე მეტი ხნისაა. რუსეთის იმპერიასთან შეერთებიდან ორი საუკუნის შემდგომაც კი ქართველები სრულიად არ გვანან რუსებს, არა მარტო რასობრივად, ენითა და კულტურით, არამედ გარეგნობით, მანერითა და სტილით. სამი თუ ოთხი წლის განმავლობაში 1917 წლის რევოლუციის შემდეგ საქართველო, მთლიანად დამოუკიდებელი, ცნეს საფრანგეთმა, დიდმა ბრიტანეთმა და ამერიკამ. ამის შემდეგ აქ წითელი არმია შემოვიდა.

გორბაჩოვის მოსვლისა და ბალტიის რესპუბლიკებსა თუ სხვა რეგიონებში პატრიოტიზმის აღმავლობასთან ერთად, გარდაუვალი გახდა ეროვნული გრძნობების აფეთქება საქართველოში.

1989 წლის 9 აპრილს საბჭოთა არმიის მიერ ოცი მშვიდობიანი ქართველი დემონსტრანტის, ძირითადად ქალების, დახოცვამ მდგომარეობა ძალზე გაამძაფრა. ამ ადგილას, მთავრობის სახლის წინ, აღიმართა „ცხრიანის“ გამოსახულება და ქართული ეროვნული დროშები.

არიან ქართველები, რომლებსაც ჯერ კიდევ ეჭვი ეპარებათ მოსკოვთან ყველა კავშირის გაწყვეტის მართებულობაში. მაგრამ მოსალოდნელია, რომ ჯერ კიდევ არსებული კავშირები თანდათან შესუსტდება. უეჭველია, რომ ახლანდელი ეკონომიკური სისტემა დიდხანს ვერ გაძლებს. საბაზრო ეკონომიკა უფრო მეტად იზიდავს ქართველთა უმრავლესობას, რომლებიც რუსებისგან განსხვავებით დაბადებული არიან ბიზნესისათვის. ქუჩებში, პარკებში და ბარებში მიმდინარეობს კამათი. რას მოუტანს მომავალი რიგითს ქართველს?

თბილისში ყოფნის მეორე დღეს დადგა ჩემი მოგზაურობის ყველაზე მღელვარე მომენტი. ჩვენ გავემგზავრეთ ულამაზეს სვანეთში, საქართველოს გულში, ცოტა ხნის წინ თითქმის მთლიანად მიუწვდომელ რაიონში. საუკუნეების განმავლობაში სწორედ სვანეთს აფარებდნენ თავს თურქებისა და სპარსელებისგან შევიწროებული ქართველი მებრძოლები, მიჰქონდათ რა იქ თავისი ეროვნული განძი. სვანები გახდნენ ქართული ეროვნული საუნჯის მფარველები, ვინაიდან ისინი მტკიცედ იცავდნენ უძველეს ტრადიციებს. დასავლეთ საქართველოს გზებზე გავლისას, ჩვენ შევჩერდით შუა საუკუნეების შესანიშნავ მონასტერში — გელათში, სადაც დღეობა იყო. ხალხი მღეროდა, მათ ლოცავდა მისი უწმინდესობა ილია II, საქართველოს პატრიარქი, რომლის თანმხლები ღვთისმსახურნი, შესანიშნავ ოქროსფერ სამოსელში და მიტრაში გამოწყობილნი, შთამბეჭდავად გამოიყურებოდნენ. თუ ისტორიას დავუბრუნდებით, ვნახავთ, რომ 330 წელს, როდესაც ევროპის უდიდესი ნაწილი კერპთაყვანისმცემელი იყო, საქართველოს ეკლესია ქართული პატრიოტიზმის ბურჯს წარმოადგენდა.

...მეორე დილით სვანეთს მივაშურეთ, რამდენიმე ხანს გზა სამეგრელოს მდიდარ სანახებზე გადიოდა. ჩვენს წინ იშლებოდა ჩაის პლანტაციები, ვენახები, ხილით დახუნძლული ხეები, ხანაც მთიანი მწვერვალები. ენგურის ხეობა რომ გავიარეთ და სვანეთის დედაქალაქს მივუახლოვდით, უკვე ღამდებოდა. მალე გავემგზავრეთ სოფელ ლატალში, ჩვენი მეგობრის გელა ჩარკვიანის საპატივცემულოდ გამართულ წვეულებაზე. მე კარგად ვიცნობდი გელას 20-30 წლის განმავლობაში, როგორც თბილისის საზოგადოებაში პოპულარულ პიროვნებას, მაგრამ არ მეგონა, თუ მისი ოჯახი სვანეთიდან იყო წარმოშობით. ლატალში, სადაც ჩარკვიანთა გვარი სახლობს, სიხარულით შეხვდნენ გელას. როგორც მან თქვა, მისი ოჯახი რამდენიმე თაობით ადრე იძულებული იყო ნაჩქარევად დაეტოვებინა ეს ადგილი, ვინაიდან სისხლი ემართათ.

...მსურდა რა უშუალოდ გავცნობოდი საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს, ვესტუმრე „მრგვალი მაგიდის“ შტაბბინას. ეს არის ახლახან შექმნილი პოლიტიკურ პარტიათა ბლოკი. მე ვფიქრობ, რომ სწორედ ისინი შეადგენენ ახალ ქართულ მთავრობას. მე მათ შევხვდი შესანიშნავ შენობაში, რომელიც ოდესღაც ავად სახსენებელი უშიშროების თავმჯდომარის ლავრენტი ბერიას რეზიდენცია იყო.

მეორე სართულზე დიდ, ხალვათ ოთახში შეიკრიბნენ პარტიათა ლიდერები მოახლოებული არჩევნებისათვის ერთობლივი პროგრამის შესადგენად. მეზობელ ოთახში ერთგული, ჰალარა ქალები წერილებს ბეჭდავდნენ, ტელეფონს უპასუხებდნენ და რუკებზე აღნიშვნებს აკეთებდნენ. ეს ნაცნობი სურათია იმისთვის, ვისაც ოდესმე არჩევნებში უბრძოლია. რამაც მე აქ გამაკვირვა, ეს იყო თვით ფაქტი იმისა, რომ სსრკ-ში ვიღაც არჩევნებისთვის იბრძვის. მე ვკითხე ჩემს გვერდით მჯდომ შავგვრემან, ტიპურ ქართველს, რა აქვს საერთო შვიდ პარტიას. „მათ ყველას საქართველოს დამოუკიდებლობა სურთ. ამის მიღწევის შემდეგ მათ შეეძლებათ გამოიმუშაონ რუსეთთან მომავალი ურთიერთობის გეგმა. მაგალითად, უნდა იდგნენ თუ არა საბჭოთა ჯარები საქართველოში. ყველა მათგანი მომხრეა მრავალპარტიული სისტემისა და საბაზრო ეკონომიკისა. მათი უპირველესი მიზანია სოციალიზმისგან განთავისუფლება, რომელიც სრულიად უცხოა საქართველოსთვის. ისინი ძალადობის წინააღმდეგნი არიან“.

ეს იყო ტრადიციონალისტთა პარტიის წევრი, რომელიც იბრძვის ქართული მონარქიის აღდგენისათვის ესპანეთში მცხოვრები პრინცის გიორგი ბაგრატიონის სახით.

„ქართველები ბუნებით ინდივიდუალისტები არიან და მონარქია მათი გაერთიანების საუკეთესო საშუალებაა. ეს არის ის, რისი მიღებაც ყველას შეუძლია“, — თქვა მან.

„არსებობს თუ არა საშიშროება სსრკ-ს დაშლისა?“ — ვკითხე მე.

„ეს ჩვენ მოგვცემს იმ შესაძლებლობებს, რომლებიც გვჭირდება“, — შემაწყვეტინა მხიარულად ჩემმა მეზობელმა.

ჩვენ შემოგვიერთდა მაღალი, წვეროსანი ყმაწვილი და შავგვრემანი ლამაზი გოგონა, ეროვნულ-ქრისტიანული პარტიის ლიდერები, რომლებიც ადრე გაფიცვა-შიმშილობაში მონაწილეობდნენ და ხელისუფლება აიძულეს დათანხმებულიყო არჩევნების ჩატარებას. მათ სურთ, რომ თავისუფალი საქართველო ქრისტიანული ევროპის ნაწილი გახდეს.

შემდეგ მოვიდა ზვიად გამსახურდია, ჰელსინკის კავშირის 53 წლის ლიდერი, რომელიც არაერთხელ ყოფილა დაპატიმრებული ადამიანთა უფლებებზე თავისი შეხედულებების გამო. მან დაიკავა თავმჯდომარის ადგილი და თათბირის დაწყებამდე გამესაუბრა. „ძალზე მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს ეროვნული პარლამენტის თავისუფალი დემოკრატიული არჩევნები მოეწყოს. რუსეთთან საქართველოს მომავალი ურთიერთობა დამოკიდებული იქნება თვით რუსეთის დამოკიდებულებაზე საქართველოსადმი და რუსეთის მომავალი რეჟიმის ხასიათზე“, — თქვა მან. რაც შეეხება ახალ სამოკავშირეო ხელშეკრულებას თუ კონსტიტუციას, მას ამაში არავითარი მონაწილეობის მიღება არ სურს.

მალე, ჩემი ლონდონში დაბრუნების შემდეგ, მოვიდა ცნობა, რომ საქართველოში გამართულა სსრკ-ში პირველი თავისუფალი მრავალპარტიული არჩევნები. საქართველოს უზენაეს საბჭოში 250 ადგილიდან 155 „მრგვალი მაგიდის“ ბლოკმა მიიღო, დანარჩენი 50 კი სხვა პარტიებმა გაიყვეს. 70-წლიანი კომუნისტური მმართველობის შემდეგ მხოლოდ 50 ადგილი, თუ რაღაც ამის მსგავსი მიიღეს კომუნისტებმა, ბევრი მათგანი, ალბათ, გულში პატრიოტია.

გასულ ზამთარს უარი ვერ ვუთხარი მომენახულებინა ახალი, ოფიციალურად აღარც საბჭოთა და აღარც სოციალისტური საქართველო. უკვე მოსკოვში ტაქსის მძღოლმა გამაფრთხილა, „იქ ისვრიანო“. მე მაინც ჩავფრინდი თოვლიანი თბილისის აეროდრომზე. ქართველებმა ხმათა უმრავლესობით დამოუკიდებლობას დაუჭირეს მხარი. ზვიად გამსახურდია, „მრგვალი მაგიდის“ ლიდერი, პრეზიდენტი გახდა. საქართველოს ახალ უზენაეს საბჭოში კი უმრავლესობა პატრიოტებმა შეადგინეს. საბჭოთა არმია ჯერ კიდევ ფეხმოუცვლელად არის ყაზარმებში; კრემლიდან მოსული ბრძანებულების თანახმად, სსრკ-ს დიდ ქალაქებში წესრიგის დამყარების მიზნით არმიისა და მილიციის ერთობლივი პატრულირება იწყებოდა. საღამოს ტელევიზიას ბალტიისპირეთიდან შემაშფოთებელი ცნობები მოჰქონდა, რომლებიც აშკარად მეტყველებდნენ, რომ დამოუკიდებლობა — ეს რაღაც უფრო მეტია, ვიდრე ხმათა რაოდენობა.

მთავრობის სახლში, რომლის თავზეც ქართული დროშა ფრიალებდა, პირველად შევხვდი ახალი მთავრობის მეთაურს, ბატონ ზვიად გამსახურდიას. მომეჩვენა, რომ იგი დაღლილი და შეშფოთებული იყო. მივულოცე პრეზიდენტად არჩევა, მან კი ამაყად მიმითითა საქართველოს მფარველის, წმინდა გიორგის ახალ შესანიშნავ გერბზე, რომელმაც პრეზიდენტის სავარძლის თავზე ნამგალი და ურო შეცვალა. მის მაგიდაზე ბიბლია იდო, ხოლო მისაღებში ოქროს ჯვრით გულდამშვენებული ღვთისმსახური ელოდებოდა. უკანასკნელი საუბრისას ჩვენ რუსულად ვლაპარაკობდით. ამჯერად ბატონი გამსახურდია შესანიშნავი ინგლისურით მესაუბრებოდა. მან მითხრა, რომ თავს ბედნიერად და ამაყად გრძნობს დამოუკიდებლობისათვის ხანგრძლივი ბრძოლისა და რამდენიმე პატიმრობის შემდეგ. მან ხაზი გაუსვა, რომ სწორედ ამგვარი გრძნობა აქვს და რომ მომავალშიც არანაკლები ბრძოლაა მოსალოდნელი. „ნახეთ, რა ხდება ლიტვაში... კრემლი ყოველმხრივ ცდილობს გაართულოს და გაამრავლოს პრობლემები საქართველოში. სწორედ ამიტომ უზღუდავს სათბობს, ელექტროენერგიას და სურსათს“.

მან თქვა, რომ არსებობს სამხედრო ინტერვენციის საშიშროება და ბრალი დასდო კრემლს სამხრეთ ოსეთში კონფლიქტის ინსპირაციაში. ეს არის მეტწილად მუსლიმური ანკლავი ჩრდილოეთ საქართველოში, რომელიც ეთნიკურად უკავშირდება რსფსრ შემადგენლობაში მყოფ ჩრდილოეთ ოსეთს. როგორც მან ბრძანა, არსებობს ზუსტი დამადასტურებელი საბუთი იმისა, რომ საბჭოთა არმია ეხმარება ოს აჯანყებულებს, რომლებიც ახლა ქართველების წინააღმდეგ იბრძვიან. საქართველოს პასუხი იყო ოსეთის ავტონომიის გაუქმება, რასაც აღშფოთებული მოსკოვის მუქარა მოჰყვა. „სერიოზულ შეშფოთებას იწვევს საქართველოს ეკონომიკის მძიმე მდგომარეობა, რომელიც კიდევ უფრო უარესდება საბჭოთა ეკონომიკური სანქციებით“, — თქვა პრეზიდენტმა. მისმა ახალმა მთავრობამ შეიმუშავა საქართველოს საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის გონიერი და რეალისტური პოლიტიკა. ის ნაკლოვანებები, რომლებიც ეკონომიკურ სისტემას ახასიათებს, ძველი სისტემიდან მოდის. რამდენადაც შევნიშნე, სერიოზული დეფიციტია. რაიმეს შოვნა მხოლოდ შავ ბაზარზე შეიძლება. პრეზიდენტი დარწმუნებულია, რომ დამოუკიდებელი საქართველო არათუ მიაღწევს ეკონომიკურ დამოუკიდებლობას, არამედ ძალზე მდიდარი ქვეყანა გახდება. ქართველებს ვერ უსაყვედურებ, რომ საქმიანობის სულისკვეთება აკლიათ, ოღონდ საჭიროა დასავლეთის დახმარება და ინვესტიციები, დასავლეთის „ნოუ ჰაუ“, როგორც პრელუდია საქართველოს საბოლოოდ დაკავშირებისა ევროპასთან. რა თქმა უნდა, დასავლეთისთვის უფრო მომგებიანია დაეხმაროს ცალკეულ რესპუბლიკებს, ვიდრე საბჭოთა კავშირს. პრეზიდენტი ელის, რომ, როდესაც საქმე დამოუკიდებლობის ტექნიკურ მხარემდე მივა, კრემლი წარუდგენს სხვადასხვა გადაჭარბებულ მოთხოვნებს და ყველაფერს იღონებს იმისთვის, რომ ხელი შეუშალოს მის განხორციელებას, სწორედ ამიტომ, მან გორბაჩოვს ორწლიანი გარდამავალი პერიოდი შესთავაზა. იგი გრძნობს, რომ ეს უფრო რეალისტურია, ვიდრე ლიტვის ცდები — დააჩქაროს მოვლენათა მსვლელობა.

ვესაუბრე რა საზოგადოების სხვადასხვა ფენის წარმომადგენელ ქართველებს იმის შესახებ, სურთ თუ არა დამოუკიდებლობა, დავრწმუნდი, რომ ისინი იზიარებენ თავიანთი პრეზიდენტის შეშფოთებას საქართველოს უახლოესი მომავლით და აგრეთვე მის სიმპათიებს ლიტვისადმი. ისინი იმედოვნებენ, რომ ახლანდელი კრიზისი კარგად დამთავრდება, თუმცა უამრავ უსიამოვნებებსაც ელიან.

საქართველოს ეროვნული ეკლესია ყოველთვის მთავარ როლს ასრულებდა ავბედითობის ჟამს. ორი დიდებული ტაძარი — სიონი და სვეტიცხოველი — რომელიც მე კვირა დღეს მოვინახულე, სავსე იყო ხალხით. ცხადია, პატრიარქი მხარს უჭერს თავისი ქვეყნის ახალ მმართველებს.

დგებოდა ზაფხული, სიტუაცია კვლავ გაურკვეველი იყო, კონფლიქტი სამხრეთ ოსეთში კვლავ გრძელდებოდა. ათობით დაჭრილი და მოკლული... მიუხედავად საბჭოთა არმიის იქ ყოფნისა, რომელიც ვითომდა მშვიდობის დასამყარებლად არის გამოგზავნილი.

ზვიად გამსახურდია დაჟინებით მოითხოვს საქართველოს დამოუკიდებლობას. რეფერენდუმზე ამას მხარი დაუჭირა 98,8 პროცენტმა. პრეზიდენტი გორბაჩოვი ასევე მტკიცედ რჩება თავის პოზიციაზე და ამ მოთხოვნის წინააღმდეგია. გასული თვის დასასრულს პრეზიდენტმა გამსახურდიამ დიდი გამარჯვება მოიპოვა საბჭოთა კავშირში პირველად გამართულ პრეზიდენტის არჩევნებში. ეს იყო როგორც მისი, ასევე საქართველოს დამოუკიდებლობის წარმატება.

მისკენაა მიპყრობილი თავისუფალი მსოფლიოს მზერა. რუსეთისთვის ძნელი იქნება ამ შედეგების იგნორირება ან ძალადობის გზით შეცვლა.

ფიცროი მაკლინი,
„სანდი ტაიმს მეგეზინი“.

საგარეო საქმეთა სამინისტროს პრეს-სამსახური გვატყობინებს

ყველასათვის ცნობილია, რომ დღეს ჩვენს ცხოვრებაში დიდი ადგილი უკავია საგარეო ეკონომიკური კავშირების დამყარებასა და გაფართოებას. ამ მხრივ დიდ როლს ასრულებს საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების მთავარი სამმართველო.

23-27 ივლისს მოსკოვში რუსეთის საგარეო ეკონომიკური კავშირების სამინისტროს ინიციატივით გაიმართა საგარეო ეკონომიკური საკითხებისადმი მიძღვნილი თათბირი, რომლის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს თხუთმეტი რესპუბლიკის შესაბამისი სამსახურების ხელმძღვანელებმა.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობას იღებდა საქართველოს საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების მთავარი სამმართველოს უფროსი ბ-ნი მიხეილ უკლება.

თათბირის მუშაობის ძირითად მიზანს წარმოადგენდა რესპუბლიკებს შორის ეკონომიკური კავშირების დამყარება. როგორც ბ-მა მიხეილ უკლებამ აღნიშნა, ამ მხრივ მიღწეული იქნა გარკვეული წარმატებები, კერძოდ მას მოლაპარაკება ჰქონდა რუსეთის საგარეო ეკონომიკური კავშირების მინისტრთან ბ-ნ ბ. იაროშენკოსთან და ამ მოლაპარაკების საფუძველზე გადაწყდა, რომ ბ-ნი ბ. იაროშენკო სექტემბრის თვეში ჩამოვა საქართველოში და დაიდება ხელშეკრულება ურთიერთთანამშრომლობის თაობაზე. ასეთივე შეთანხმებები იქნა მიღწეული უკრაინისა და ბელორუსიის შესაბამის უწყებებთან.

თხუთმეტივე რესპუბლიკის წარმომადგენლებმა გაუგზავნეს მიმართვა სსრკ-ს პრემიერს. ამ მიმართვით ისინი მოითხოვენ საიმპორტო საქონლის საბაჟო დაბეგვრის შესახებ საკავშირო საბაჟოს მიერ მიღებული 1991 წლის 30 მაისის № 189 ბრძანებულების გაუქმებას, რადგან იგი რესპუბლიკებთან შეუთანხმებლად მიიღეს. თათბირის მონაწილეებმა დაადგინეს, რომ რეგულარულად ჩატარდეს ასეთი სახის შეხვედრები რესპუბლიკების საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების წარმატებით განვითარებისა და კოორდინაციისათვის. ამ მიზნით შეიქმნა მუდმივმოქმედი საკოორდინაციო სამუშაო ჯგუფი, რომელშიც შედიან ყველა რესპუბლიკის საგარეო ეკონომიკური სფეროს წარმომადგენლები.

თათბირის მუშაობის დასასრულს მიიღეს თხუთმეტ სუვერენულ რესპუბლიკას შორის საგარეო ეკონომიკურ სფეროში თანამშრომლობის შესახებ ოქმის პროექტი, რომელსაც განიხილავენ ამ რესპუბლიკათა მთავრობები და შემდეგ მოხდება მისი რატიფიკაცია.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ როგორც ბ-მა მიხეილ უკლებამ აღნიშნა, ასეთი სახის შეხვედრა პირველი იყო და მოლაპარაკებები მიმდინარეობდა კონსტრუქციული, ჰორიზონტალური ხაზით, ცენტრის ჩაურევლად.

ამავე სამმართველოს საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის განყოფილების მეორე მდივანი ბიძინა იმნაძე და უფროსი რეფერენტი ქეთევან სუთიაშვილი იმყოფებოდნენ სკანდინავიის, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების, დიდი ბრიტანეთის, ესპანეთის, გერმანიის, ტაილანდისა და ეგვიპტის საელჩოებში. თოთხმეტი ქვეყნის წარმომადგენლები დიდი ინტერესით შეხვდნენ საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების ვიზიტს და როგორც საუბრისას აღნიშნეს, მიუხედავად ცენტრთან ურთიერთობის შესაძლო გამწვავებისა, მათ დიდი სურვილი აქვთ ითანამშრომლონ ჩვენთან.

ძირითადი და მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ამ ქვეყნების ეკონომიკურ წარმომადგენლობასა და საქართველოს შესაბამის სამსახურთან დამყარდა ურთიერთობა და ამ მოლაპარაკების ძირითად პუნქტს წარმოადგენს ინფორმაციის გაცვლა. შეხვედრისას წამოიჭრა უფრო კონკრეტული საკითხები, როგორიცაა ჩეხეთ-სლოვაკეთთან და პოლონეთთან მომავალი მოლაპარაკების საფუძვლის მომზადება.

საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის განყოფილების თანამშრომელმა ბიძინა იმნაძემ აღნიშნა, რომ ტაილანდთან მიღწეულია შეთანხმება ბიზნესვიზიტის შესახებ. კერძოდ, მომავალ წელს ტაილანდიდან გამოგზავნიან ბიზნესმენებს ლექციების წასაკითხად და ამავე დროს სტაჟირებისათვის მიიწვევენ ქართველ სპეციალისტებს.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ ეგვიპტელებმა სურვილი გამოთქვეს გამოფინონ თავიანთი პროდუქცია საქართველოში, ხოლო მექსიკელები მიიწვევენ ჩვენს წარმომადგენელს მოსკოვში, სადაც უახლოეს მომავალში ჩატარდება მათი პირველი გამოფენა.

ნოემბრის თვეში თბილისში დაგეგმილია საქართველოს ეკონომიკური ცხოვრების საპრეზენტაციო სემინარის ჩატარება და თოთხმეტივე ქვეყნის წარმომადგენლებმა გამოთქვეს ამ სემინარის მუშაობაში მონაწილეობის სურვილი.

რამდენიმე სტრიქონით

გერმანია და ჩეხეთ-სლოვაკეთი უფრო მჭიდრო სამხედრო თანამშრომლობას აპირებენ. დასახულია საიმისო ღონისძიებები, რომ ორივე ქვეყნის სამხედრო შტაბებმა და ჯარის ნაწილებმა ახლო კონტაქტები დაამყარონ.

შეერთებული შტატების სენატში შეიტანეს კანონპროექტი, რომელიც ითვალისწინებს ბალტიისპირეთის სამი რესპუბლიკისათვის უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის მინიჭებას. ასეთი სტატუსი ლიტვას, ლატვიასა და ესტონეთს ოციან წლებში ჰქონდათ.

როიტერის სააგენტოს ცნობით, მოჯაჰიდების გასროლილი რაკეტა ქაბულში, არსენალში აფეთქდა, რის შედეგადაც რამდენიმე ასეული კაცი დაიღუპა. განადგურდა „სკადის“ ტიპის საბჭოთა წარმოების უამრავი ოპერატიული ტაქტიკური რაკეტა. მთელი ქაბული შავმა ბოლმა მოიცვა.

ვილნიუსის სპორტის სასახლის წინ, მოედანზე ლიტველები ემშვიდობებიან ლიტვა-ბელორუსიის საზღვარზე დახოცილ საბაჟოს მუშაკებს. ლიტვის პრემიერმა ვაგნორიუსმა პრეს-კონფერენციაზე განაცხადა, რომ იქმნება პოლიციის განსაკუთრებული ბრიგადები. ისინი ლიტვის საზღვარზე საგულდაგულოდ შეამოწმებენ ტრანსპორტს და მოქალაქეთა დოკუმენტებს. დღეს ლიტვაში გლოვის დღეა. მკვლელების მონახვისათვის მთავრობამ ნახევარი მილიონი მანეთის ჯილდო დააწესა.

რუსეთის ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე ჟირინოვსკი მოლდოვეთის ქალაქ ტირასპოლში, ე. წ. რუსულენოვანი მოსახლეობის წინაშე სიტყვით გამოვიდა. მან აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირის მომავალს იგი ხედავს, როგორც რევოლუციამდელ რუსეთს, სადაც მოკავშირე რესპუბლიკები გუბერნიებად გადაიქცევიან. ეს აუცილებლად შემოდგომით მოხდება, როდესაც რუსეთის პრეზიდენტი გავხდებიო, — დასძინა ორატორმა.

გაზეთ „ინდიან ექსპრესის“ ცნობით, ტამილნადის შტატში ათასი ლტოლვილია შრი ლანკიდან. მათი ორი მესამედი „ტამილთა განთავისუფლების ვეფხვების“ ორგანიზაციის აქტიური წევრია. სწორედ ამ ორგანიზაციის წევრს, შივარასანს ედება ბრალად რაჯივ განდის მკვლელობის ორგანიზაცია. მალე ინდოეთის პარლამენტი აპირებს მიიღოს შრი ლანკელი ლტოლვილების სამშობლოში გასახლების კანონი.

ხორვატიის იმ რეგიონებში, სადაც სერბები ცხოვრობენ, სერიოზული შეტაკებები მიმდინარეობს. არ ცხრება ბრძოლები ლალში, ალმაშში, ერლუტში, სარვაშში და სხვა დასახლებულ პუნქტებში. შექმნილი ვითარების გამო ხორვატიის შინაგან საქმეთა მინისტრმა ივანე ვეკიჩმა პარლამენტს სთხოვა, ხორვატიაში საგანგებო წესები გამოაცხადოს, ხოლო ქვეყნის პრეზიდენტს ფრანიო ტუჯმანს საგანგებო უფლებამოსილებანი მიანიჭოს.

1986 წლიდან სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში, აფრიკის ეროვნულ კონგრესსა და მის მოწინააღმდეგე ზულუსთა გაერთიანება „ინკატას“ შორის მომხდარი შეტაკებების შედეგად ექვსი ათასზე მეტი ადამიანი დაიღუპა. გუშინწინ იქ კიდევ ექვსი კაცი მოჰკლეს.

ძლიერი წვიმებისა და ქარიშხლის შედეგად სოჭი-ტუაფსეს მაგისტრალი გადაკეტილია. დატბორილია დაგომისისა და ვარდანეს სასტუმროები და პანსიონატები. ლაზარევსკის რაიონში დანგრეულია რამდენიმე სარკინიგზო და საავტომობილო ხიდი. არ მუშაობს მაცესტის ტალახის აბაზანები. იუწყებიან, რომ სოჭის საკურორტო მეურნეობას უდიდესი ზარალი მიადგა.

ესტონეთის ქალაქ პიარნუში მუშაობას შეუდგა რესპუბლიკის მოქალაქეობის დამდგენი სამსახური. აქ უკვე იღებენ პირველ განცხადებებს, რომელთა შესწავლის შემდეგ გაიცემა ესტონეთის რესპუბლიკის მოქალაქის მოწმობები.

ფილიპინების კონგრესის ზედა პალატის კოლეგებს კიდევ სამი სენატორი შეუერთდა, რომლებმაც გაილაშქრეს ბაზების შესახებ ფილიპინ-ამერიკის შეთანხმების დამტკიცების წინააღმდეგ. ამრიგად, უკვე 16 სენატორია წინააღმდეგი დოკუმენტის მიღებისა, რომელიც ითვალისწინებს 2001 წლამდე არქიპელაგში ამერიკის შეერთებული შტატების სუბიკ-ბეის სამხედრო-საზღვაო ძალების ბაზის შენარჩუნებას.

აგვისტომ დამატებითი ხარჯები მოუტანა ნამიბიელებს. ყოველგვარ საქონელზე დარიცხული 11-პროცენტიანი გადასახადი ვრცელდება მთელ რიგ სხვა მომსახურეობებზეც. იგი, კერძოდ, გათვალისწინებულია სარემონტო სამუშაოების, იურიდიული დახმარების, დაზღვევის, სამოგზაურო ბიუროს მომსახურებისათვის. ფინანსთა მინისტრი ოტო ჰერინგელი მოელის, რომ ეს ღონისძიება სახელმწიფო ხაზინას 30 მილიარდი რანდით (დაახლოებით 10,5 მილიონი დოლარით) შეავსებს. ამდენივე უნდა მოუტანოს სახელმწიფოს გაყიდვის გადასახადის ზუსტად ერთი თვის წინათ 10-11 პროცენტით მომატებამ.

ხუთშაბათს გვიან საღამოს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ჯორჯ ბუში ამერიკის დედაქალაქში დაბრუნდა საბჭოთა კავშირში ოფიციალური ვიზიტისა და სსრ კავშირის პრეზიდენტთან მიხეილ გორბაჩოვთან მოლაპარაკების დამთავრების შემდეგ.

ობიექტივშია პოლონეთის დედაქალაქ ვარშავის ცენტრში მოვაჭრე საბჭოთა მოქალაქე, რომელიც არაყისა და საბჭოეთისათვის სხვა დეფიციტური ნაწარმის იაფად გაყიდვის შემდეგ ფიქრობს თავისთვის საჭირო საქონლის შეძენას. ასეთია სოციალიზმის დღევანდელი დღე.

რიტუალური მკვლელობები გახშირდა

სვაზილენდის სამეფო პოლიციამ მოუწოდა მშობლებს არ დატოვონ ბავშვები უმეთვალყურეოდ, რადგან მარტო მიმდინარე წლის დამდეგიდან ქვეყანაში დაიკარგა 100-ზე მეტი ახალშობილი და ყმაწვილი. ამას იუწყება „რადიო სვაზი“. იგი გამოთქვამს შეშფოთებას, რომ, „პოლიციელების მიერ მთელ რიგ რაიონებში აღმოჩენილი ბავშვთა გვამების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, დაკარგულთა უმრავლესობა, შესაძლოა, მოკლეს მუტისათვის“...

მუტი — ეს არის მრავალი აფრიკული ტომის მიერ გაფეტიშებული საგნები, რომლებსაც, გადმოცემის თანახმად, შეუძლია აახდინოს იმათი სურვილი, ვინც მათ ფლობს. ჯადოქრები და კუდიანები ასეთი მიზნებისათვის სამხრეთ აფრიკაში ჩვეულებრივ იყენებდნენ ხოლმე ავგაროზებს, რომლებშიც მოთავსებული იყო კუს დანაყილი ბაკნის ფხვნილი, ანტილოპების გამხმარი სასქესო ორგანოები ან ჟირაფის თვალი. მაგრამ, როგორც იოჰანესბურგის გაზეთი „სოუეტანი“ წერდა, სვაზილენდიდან სულ უფრო ხშირად მოდის ცნობები, რომ იქ პოულობენ „მუტიზირებულ გვამებს“, რომლებსაც ამოჭრილი აქვთ შინაგანი და სასქესო ორგანოები.

არცთუ ისე დიდი ხნის წინათ, მაგალითად, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკისა და მოზამბიკის საზღვრების შესაყარზე მდებარე სამეფოს უზენაეს სასამართლოში მოისმინეს ორი ჭაბუკის საქმე, რომლებმაც „მუტის გასაყიდად დამზადებასთან დაკავშირებული სხვადასხვა მიზნით მოკლეს საკუთარი ბიძა“. სვაზილენდის დედაქალაქ მბაბანედან სულ რაღაც 10 კილომეტრზე მდებარე მთიანი სოფლის მპლონჟენის მასწავლებელს დაემუქრნენ სკოლიდან გაგდებით, ჯანმრთელობის დაცვის მუშაკები კი საერთოდ უარს ამბობენ ჩავიდნენ მთელ ქვეყანაში ამ ავბედითი სახელის მქონე ადგილზე მას შემდეგ, რაც იქ „მუტებზე მონადირეებს“ ერთიმეორის მიყოლებით ემსხვერპლა 8 კაცი...

შიდა ქართლი

საშობლო, დედის ძუძუ...

ამ დღეებში ცნობილი გახდა, რომ ყოფილი ყორნისის რაიონის ქართულ სოფლებს — შინდარას, ალიბარს, თილვას, ნაბაკევს, ნედლათს თავს დაესხნენ ოსთა შეიარაღებული ბანდები. ქართველთა ერთი ნაწილი გაძარცვეს, სახლები დაუწვეს. ქართველთა დიდი ნაწილი მამა-პაპური სამკვიდროდან გამოდევნეს და მათ სახლებში ოსები შეასახლეს. ანტიქართულ მოძრაობას განსაკუთრებული „ღვაწლი“ დასდო რამდენიმე ფრონისხეობელმა ქართველმაც. მათ შორისაა საქართველოში კომუნისტური რეჟიმის დროინდელი მოწინავე მეცხოველე, ყოფილი ოსეთის საოლქო საბჭოს დეპუტატი სოფიკო მამაცაშვილი.

ქალბატონო სოფიკო, კარგა ხანი გავიდა მას შემდეგ, რაც ცხინვალში ოსი სეპარატისტების მიერ გამართულმა საოლქო საბჭოს სესიამ ქვეყანას „ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკის“ შექმნა აუწყა. მაშინ შიდა ქართლში მცხოვრებ ქართველ ქალთა შორის წილად მხოლოდ თქვენ ერთს გხვდათ „ბედნიერება“, არამარტო ოსეთის მთავრობის შემადგენლობაში, არამედ მისი კონსტიტუციის შემმუშავებელ კომისიაშიც შეეყვანეთ. დანარჩენი ქართველნი გაოცებული დარჩით. თქვენ საიდან გხვდათ ამდენი „პატივი“? ირწმუნებოდით, რომ თქვენი „აღზევება“ შემთხვევითი იყო. გენდეთ, დაგიჯერეთ, მაგრამ გულში სხვა გდებიათ, თურმე... როდესაც ქართველთა და ოსთა კონფლიქტი დაიწყო, თქვენი ცხოვრებისეული პოზიციით ოს ექსტრემისტ-სეპარატისტთა მხარეზე დადექით. მათი ანტიქართული იდეების თანამზრახველი და ერთგული შემოქმედი გახდით... კარგად მოგეხსენებათ, ოსთა შეიარაღებული ბანდები ფრონისხეობაში რა დღეს აყრიან მშვიდობიან ქართულ მოსახლეობას. დაიღვარა უდანაშაულო ადამიანის სისხლი? რისთვის? ამაზე გიფიქრიათ როდისმე? კარგად ვიცით, რომ ამ კითხვაზე ვერ გვიპასუხებთ. სამაგიეროდ, ჩვენ გეტყვით, რომ გიფიქრიათ და კიდეც გიმოქმედიათ. თქვენი „წყალობით“ იყო, რამდენიმე მშვიდობიან ქართველს ოსებმა სახლები რომ დაუწვეს. ძველი „ჯავრი“ იყარეთ, თურმე. თქვენს მრავალრიცხოვან ცოდვათა შორის ისიც თქვენი „მადლია“, ოს ექსტრემისტებთან ერთად ბარბაროსულად რომ სცემეთ ემზარ მაისურაძეს და ალბერტ თხელიძეს. ისიც ვიცით, მეცხოველეობის იმ ფერმიდან, სადაც თქვენ ბრიგადირად მუშაობთ, ოს ექსტრემისტებს „არსებობისთვის“ როგორ გააყვანინეთ საქონლის დიდი ნაწილი. თანაც, ფერმიდან ქართველი მწველავი ქალებიც რომ გაგირეკავთ?! კიდევ მრავალი ფაქტია ცნობილი თქვენი ანტიქართული მოღვაწეობისა. ახლა კარგად ვხვდებით, რომ თქვენ ჩაგრულ ქართველთა ამბავი სულაც არ გაწუხებთ. იარაღგადაკიდებული, თქვენს მანქანას ხან აღმა-დაღმა დააქროლებთ და დაუნდობელი გესტაპოელივით უწყორდებით ხეობაში აქა-იქ კანტი-კუნტად შემორჩენილ ქართველებს...

ქალბატონო სოფიკო, გულისტკივილით მინდა ვთქვა, რომ წარსულს ბარდება ჩვენი კეთილი ურთიერთობა. მაშინ ჩვენს ურთიერთობას ბზარი არ ჰქონდა. დამიჯერეთ, არ მინდა ვირწმუნო და განვიცადო თქვენი ანტიქართველობა, მაგრამ ამას თქვენი ნამოქმედარი რომ ღაღადებს. ამას ამბობს მთელი ფრონისხეობის ქართველობა... ნუთუ იაკობ გოგებაშვილის დედაენაზე გაზრდილმა ასე მალე დაივიწყეთ მშობელი ხალხი, მისი მრავალსაუკუნოვანი ისტორია? განა სკოლაში იმიტომ გასწავლიდნენ შოთას, ილიას, აკაკის, ვაჟას, რომ მათთვის გეღალატა? თქვენი ანტიქართული მოქმედებისას ერთი წუთით მაინც არ გახსენდებათ საკუთარი ქართული სკოლა, აღმზრდელი მასწავლებლები, თანაკლასელები? თქვენს ოროველს და მრავალჟამიერს სხვისი როგორ არჩიეთ? რას ფიქრობთ, გული რას გეუბნებათ, როცა მამა-პაპურ მიწაზე ქართული ლაპარაკი აღარ ისმის? ქართველთა სახლებს გადამწვარს და გაპარტახებულს რომ ხედავთ, რა განცდა გეუფლებათ? რა მოსდის თქვენს სულს, როცა ობლად დარჩენილ ათასწლოვან თილვის ჰადარა ტაძარს ხედავთ? რატომ დაივიწყეთ, ვისი გორისა ხართ?

ქალბატონო სოფიკო, მართლა ხომ არ გგონიათ, ისტორიულ საფალავანდიშვილოს, მთლიანად შიდა ქართლს ან ერთ გოჯ ქართულ მიწას ქართველი ერი ვინმეს დაუთმობს? ვიცი, დღეს ჩვენი „ძმები“ სხვისი დახმარებით რომ მძლავრობენ, მაგრამ შენ და შენისთანებმა უნდა ირწმუნოთ, რომ ესეც დროებითია. იქნებ იმისაც გჯერა, ოს სეპარატისტებს ყოველდღიურად ახალ-ახალი იარაღი რომ შემოაქვთ, ქართველებზე თავდასხმებისათვის რომ ემზადებიან და ხმამაღლა გაიძახიან, საქართველოს დავამარცხებთო. ახლა ვრწმუნდები, გჯერა, ეს ყოველივე, და იმიტომ მიატოვე „სუსტი“ ქართველობა, ხომ? იცოდე, საქართველოს ოსებისთვის ომი არ გამოუცხადებია. მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს გონივრულად აფასებს და წინ, მომავლისაკენ იხედება, თორემ... ვაჟას უთქვამს: სამშობლოს არვის წავართმევთ, ნურც ნურვინ შეგვეცილება, თორემ... ვისაც შენ ბიჭუდლე, მტკიცდება, რომ ღალატი მათი ისტორიული თვისებაა. ასეა ოდითგან — როცა ძლიერი დამპყრობის — მონღოლთა ბატონობისას ქართველი ხალხის არსებობის ბედი წყდებოდა, ძმადშეფიცულმა ოსებმა მაშინაც გვიღალატეს. მტრის სამსახურში ჩამდგარნი, თავს ესხმოდნენ ქართველობას, უდანაშაულო ხალხის სისხლს ღვრიდნენ. ამას მემატიანე გვაუწყებს, რომ ოვსნი მძლავრობდნენ გორსა შინა... ხოლო როდესაც ქართველმა ხალხმა გადიგდო დამპყრობის უღელი, წელში გასწორდა და დადგა ჟამი განკითხვისა, მემატიანე იმასაც გვამცნობს, რომ ოვსნი აღფხურნა მეფემან გიორგიმ...

გავიდის დრო, საქართველო მოიპოვებს სრულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ დამოუკიდებლობას, ყველა თავის გზას მოძებნის. საბჭოურ ფარაჯას ამოფარებული, დღეს რომ მძლავრობს და მეგობრად მიგაჩნია, თავის ისტორიულ სამშობლოს მიაკითხავს.

თქვენ რას იზამთ?

სად არის თქვენი სამშობლო? საინტერესოა, როგორ წარსდგებით ჯიშ-ჯილაგიანების, მამა-პაპათა უკვდავი სულის წინაშე?

ქართლოსიანთა ნაშიერნი ფრონის ხეობაში ყოვლად წმინდა ღვთისმშობლის, მაცხოვრის დიდებისად სანთლებს ანთებენ, ხეობაში კვლავ დაიგუგუნებს „მუმლი მუხასა“ და „მავლეგო“...

გამარჯვებული სიმართლე ყველას თავისას მიუზღავს.

გივი ბორცვაძე,
„საქართველოს რესპუბლიკის“ საკ. კორ.

უდანაშაულო დამნაშავენი...

„კარაქის საქმე“ და ადამიანთა დამახინჯებული ბედი

ამ საქმეს, რომელიც ხალხში ცნობილია როგორც „კარაქის საქმე“, დიდი ხნის და ჭკუის სასწავლებელი ისტორია აქვს. იგი დასაბამს იღებს 1984 წლის მაისში, როცა საქართველოს პარტოკრატია ყოვლისშემძლე იყო, როცა „ზემოდან“ მითითებით შეიძლებოდა ანგარიში გესწორებინა არასასურველი პირებისათვის, მოგეხსნა სამუშაოდან, შეგეგდო „ფსიქიატრიულში“, დაგეპატიმრებინა, გაგესახლებინა რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ, მიგეყვანა თვითმკვლელობამდე. კონკრეტული მაგალითი უამრავია, ისინი დიდი ხანია კარგად არის ცნობილი, და ამიტომ ნუ შევაჩერებთ მათზე ყურადღებას. „ზემოდან მითითებათა შემსრულებლებიც“ ბლომად იყვნენ. თავიანთ მოქმედებაში პარტიის მაფიოზები ხშირად იყენებდნენ სამართალდაცვით ორგანოებს, სწორედ იმათ, ვინც თავისი სამსახურებრივი მოვალეობით კანონისა და წესრიგის სადარაჯოზე უნდა მდგარიყვნენ. გამოცდილება პარტოკრატიას ჰქონდა! სამართალდაცვითი ორგანოების არა დაცვისათვის, არამედ, პირიქით — კანონების ფეხქვეშ გათელვისათვის გამოყენების იდეა ხომ ახალი არ გახლავთ?! როცა რაღაც არ გამოსდიოდათ მუშაობისას პარტოკრატებს, როცა აკლდათ ნიჭი ან ენთუზიაზმი, რათა წინ წაეწიათ მორიგი ბინძური საქმე, სამხრეებიანი და ხელკეტიანი კაცი შეუცვლელი იყო. მისი დახმარებით აღწევდნენ შესანიშნავ შედეგებს კანონიერების დარღვევათა სულ სხვადასხვა სფეროში. ხელკეტის ფსიქოლოგია! მას პარტოკრატების ხელში დღესაც შეუძლია თვალის დახამხამებაში და უშეცდომოდ იმოქმედოს.

ხელკეტის ფსიქოლოგიის იმედი ჰქონდათ იმათაც, ვინც 1984 წლის მაისში მიზნად დაისახა გაეახლებინა საქართველოს ვაჭრობის სამინისტროს თბილისის № 4 მაცივარკომბინატის შტატები. „ზემოდან“ მითითებით ორმა რიგითმა მილიციელმა დავით მუჯირმა და სერგო კოსტანოვმა შეაკოწიწეს აქტი თბილისის „მეოთხე მაცივარკომბინატის ტერიტორიიდან 2.800 კილოგრამი კარაქის დატაცებისა და სარეალიზაციოდ რუსთავის № 23 მაღაზიაში გაგზავნის შესახებ“.

რა გასამრჯელოს უქადდა მათ ეს ალალ-ბედზე შეკოწიწებული აქტი, — არავინ იცის. მაგრამ სოციალისტური საკუთრების დატაცებისა და სპეკულაციის წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილების უფროსის კაბინეტში, რომელსაც ისინი სამსახურებრივი მოვალეობით ექვემდებარებოდნენ, მათი მოქმედება მოიწონეს, აქტი დაამტკიცეს. საქმე გაიჩარხა. აქტის საფუძველზე დააკავეს ერთბაშად რვა კაცი. ამის შემდეგ დაიწყო მაცივრის „წმენდა“. იგი განიცადა თითქმის ყველამ — დირექტორით, შოთა გრიგოლის ძე შეყრილაძით დაწყებული და დამლაგებლით დამთავრებული.

და გაჩნდა „კარაქის საქმე“, რომელიც ისე ბინძურად იყო შეკოწიწებული, რომ იმ დროსაც კი ყალბად მიიჩნიეს. როგორც სასამართლო პროცესზე გამოირკვა, არც ერთი მილიციელი — „კარაქის“ ოპერაციის მონაწილე არც მაცივარკომბინატში, არც მაღაზიაში არ ყოფილა, ის კარაქი თვალითაც არ უნახავთ. ხოლო სოციალისტური საკუთრების დატაცებისა და სპეკულაციის წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილების უფროსს საერთოდ არავითარი მონაწილეობა არ მიუღია ოპერაციაში, კაბინეტიდან არ გამოსულა და აქვე, მყუდრო კაბინეტში, მოაწერა ხელი ბინძურ აქტს.

ამ ფალსიფიკაციის და იმ, მადლობა ღმერთს, ისტორიას ჩაბარებული წლების მრავალი სხვა ფალსიფიკაციის შესახებ გაზეთი „კომუნისტი“ დაწვრილებით წერდა 1989 წლის 26 ნოემბერს.

ამაო იყო „განსასჯელთა“ წინადადებანი, თხოვნა, მოთხოვნა — შეექმნათ სპეციალური კომპეტენტური კომისია „საქმის“ დეტალური შესწავლისათვის, აქტში მოყვანილი ფაქტების, ოპერაციის მონაწილეთა პიროვნებების შემოწმებისათვის. ამაოდ ამტკიცებდნენ ისინი, რომ კარაქი არ გამქრალა, არ გამდნარა, რომ იგი ინახება „საყინულეებში“. ყველა მათი თხოვნა და მოთხოვნა, ისიც კი, რომ პროტესტის ნიშნად შ. შეყრილაძე სკკპ რიგებიდან გამოვიდა, აწყდებოდა გულგრილობის ყინულოვან აისბერგს. პარტოკრატიამ ნეიტრალური პოზიცია დაიკავა, ხოლო მილიციის თანამშრომლები თავს ისე გრძნობდნენ, როგორც თევზი წყალში.

რვა თვეს გაგრძელდა სასამართლო პროცესი „კარაქის საქმის“ გამო (მოსამართლე თ. შერვაშიძე). რვა თვეს კალმით უწიგნურად ნაჯღაბნ ქაღალდზე თავს იმტვრევდნენ ყველა რანგის მოსამართლეები. მეცხრე თვეზე გაჩნდა განაჩენი: სხვადასხვა ვადის პატიმრობა მიესაჯოს კომბინატის რვა მუშაკს, დანარჩენები (უდიდესი უმრავლესობა საშტატო პერსონალია) დირექტორის შოთა შეყრილაძის მეთაურობით მოიხსნენ სამუშაოდან. მაცივარკომბინატი, რომელსაც ოთხი წლის მანძილზე სათავეში ედგა შ. შეყრილაძე და რომელიც სანიმუშოდ იყო ცნობილი ყველა მაჩვენებლის მიხედვით, სასამართლო ორგანოების ერთი პირადი გადაწყვეტილებით გადაიქცა „დამნაშავეთა ბუნაგად“. აქ უნდა გაეგზავნათ „თავისი“ კაცი, რომელიც თავის მხრივ მოიყვანდა სხვა „თავისიანებს“.

მაგრამ შოთა შეყრილაძეს უკან არ დაუხევია აშკარა უკანონობის წინაშე. სამუშაოდან მოხსნის შემდეგ მთელი მომდევნო ოთხი წელიწადი მან სამართლიანობის ძიებაში გაატარა. და მხოლოდ რესპუბლიკის ხელმძღვანელობის შეცვლის შემდეგ მოახერხა ეპოვა ეს სამართლიანობა. ამ ხნის მანძილზე სასჯელის ვადა დაუმთავრდათ სრულიად უდანაშაულო რ. ს. ლომთაძეს, გ. გ. ოსიტაშვილს, რ. ი. ბეგლარიშვილს, ო. ქ. საგინაშვილს, ნ. ს. ნაკაიძეს, ტ. ი. მაზანაშვილს, ი. გ. კარიბოვს, თ. გ. გელაშვილს. მათ, როგორც ასეთ შემთხვევებში ხდება, ბოდიში მოუხადეს დაშვებული „შეცდომისათვის“, მთელი ბრალი დააკისრეს „სისტემას“. დღეს ეს „უდანაშაულო დამნაშავენი“, ისევე როგორც შ. შეყრილაძე, რომლებსაც ოდესღაც სწამდათ ხალხის მიერ არჩეული მოსამართლეებისა და ერის იმ ბელადების „უცოდველობა“, რომლებიც ჯიუტად ამტკიცებდნენ, მზე ჩრდილოეთიდან ამოდისო, მორალურად დაკნინებულნი, მატერიალურად დაქცეულნი, გამოძიებებზე და საპატიმროებში ყოფნით დამახინჯებულნი დადიან. ისინი, ვინც სიმართლე არ იცის, დღემდე სიძულვილით შეჰყურებენ მათ.

1991 წლის 25 აპრილის საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლების საფუძველზე თბილისის ვაკის რაიონის სასამართლომ ოფიციალურად ცნო, რომ „კარაქის საქმეში“ წილი არ უდევს და სრულიად უდანაშაულოა შოთა შეყრილაძე, გამოიტანა გადაწყვეტილება სამუშაოზე — მაცივარკომბინატის დირექტორის უწინდელ თანამდებობაზე აღდგენისა და იძულებითი განაცდენისათვის 19 ათას 405 მანეთის ზარალის ანაზღაურების შესახებ. ვაჭრობის მინისტრის პირველი მოადგილის ავთანდილ წილოსანის სახელზე გაგზავნილ წერილში შავით თეთრზე წერია, რომ შოთა შეყრილაძე აუცილებლად უნდა აღდგეს სამუშაოზე.

თითქოსდა ეს არის და ეს. შეიძლება წერტილის დასმა. მაგრამ ვაი რომ არ უნდა ვიჩქაროთ. შეყრილაძე დღემდე სამინისტროს კარზეა აკრული. აქ კი სხვადასხვა საბაბით ამ საკითხს ხსნიან დღის წესრიგიდან. უკანასკნელი საბაბი ასეთია: საქართველოში ვაჭრობის მინისტრი არ არის, ვინ უნდა მოაწეროს ხელი ბრძანებას აღდგენის შესახებ?

სასაცილოა? არა, სასაცილო კი არა, სამწუხაროდ, საწყენი და გულსატკენია. გულსატკენია ადამიანთა დამახინჯებული ბედისათვის, იმისათვის, რომ არ იჩენენ გულმოწყალებას მათდმი, ვიზეც ასე ბევრს ვწერთ და ვლაპარაკობთ. უნებურად ისმის კითხვა: იქნებ საჭიროა კიდევ ერთი სასამართლო, ნამდვილად საყოველთაო-სახალხო, ყველა იმათი საქმის გამო, ვინც კვლავ სჩადის უკანონობას ჩვენს რესპუბლიკაში, სასამართლო ბიუროკრატიის — პარტოკრატიის ღვიძლი და საყვარელი დის — საქმის გამო.

რომან ერაძე,
საქინფორმის კორ.

ხიდი

როცა ძმას უჭირს

პირველი, ვინც მოვიდა ქურთ ლტოლვილთა ბანაკებში მიმავალი დელეგაციის გასაცილებლად, იყო საქართველოს რესპუბლიკის სახალხო არტისტი იზა გიგოშვილი. მას, ამ შუადღის პაპანაქებაში რიყეზე განმარტოებით მდგომს, დაინახავდა ამ დროს იშვიათი გამვლელი.

— „მოამბეში“ მოვისმინე, გაცილება დღის პირველი საათისათვის არის დანიშნულიო, ჰოდა, მოვედი. მერე გამოვარკვიე, რომ დანიშნულია საღამოს ხუთ საათზე. სადღა წავალ? ისღა დამრჩენოდა, დავლოდებოდი.

იზას გვერდით უდევს ორი ცელოფანის პარკი.

— საოჯახო აფთიაქია, — გვეუბნება იგი. — ლტოლვილებს იგი უფრო გამოადგებათ. აქ არის დამამშვიდებელი საშუალებანი, კუჭისა და გულის პრეპარატები. ცხადია, ეს წვეთია ზღვაში.

თუმცა ზღვაც, ადამიანის სიყვარულისა და თანადგომის უზარმაზარი ზღვაც წვეთებისაგან შედგება, რომელიც ეხმარება სწორედ ხალხებს თავიანთ ჭირ-ვარამში.

სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოებასთან არსებულმა ქურთთა ასოციაციამ „რონაიმ“ („სინათლე“) ინიციატივა გამოიჩინა, ჰუმანიტარული დახმარება გაუწიოს ერაყელ ქურთებს, რომლებსაც დღეს ძალზე უჭირთ.

— მაგრამ საქართველოს მთავრობის მხარდაუჭერლად, — მიაჩნია ასოციაციის გამგეობის პასუხისმგებელ მდივანს მერაბ შამოევს, — ყველა ჩვენი კეთილი განზრახვა ფუჭად ჩაივლიდა. მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის მიუხედავად, მან შეძლო თავისი ფონდებიდან გამოეყო ჩვენთვის სასურსათო პროდუქტები, ხოლო კონცერნმა „ფარმაციამ“ უსასყიდლოდ მოგვცა 140 ათასი მანეთის მედიკამენტები.

15-კაციანმა დელეგაციამ ეს ტვირთი ადგილზე უნდა ჩაიტანოს. დელეგაციაში შედიან ქურთი ინტელიგენციის, საქართველოს ტელევიზიის, საქართველოს რესპუბლიკის წითელი ჯვრის წარმომადგენლები. სურსათით და მედიკამენტებით დატვირთული ორი ტრალერი დგას რიყეზე. მიმავლებს აცილებენ ნათესავები და მეგობრები. გაცილების ცერემონიას დაესწრო საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნემო ბურჭულაძე.

— მე ვღელავ, — გამოგვიტყდა ლამარა ფამოევა, უნივერსიტეტის დოცენტი. — ჩემი ოცნება იყო ვწვეოდი ადგილებს, საიდანაც მრავალი წლის წინათ წამოვიდნენ ჩვენი წინაპრები. დიდი ხნის ხეტიალის შემდეგ ისინი მოვიდნენ საქართველოში, სადაც თავისუფლება და სიმშვიდე პოვეს. და აი, დადგა ჟამი — ჩვენ მივემგზავრებით იმ შორეულ მხარეში, რომელიც მე, როგორც ისტორიკოსმა, წიგნებით შევისწავლე, ახლა კი უნდა ვნახო კიდეც.

ლამარა ერთადერთი ქალია დელეგაციის შემადგენლობაში. მისი აზრით, მას დაკისრებული აქვს პასუხისმგებლობა თანამგზავრთა ჯანმრთელობისა და კვებისათვის.

...უკანასკნელი წამოძახილები— „ხომ არ დაგვავიწყდა?..“, „სად ჩადე?..“ უკანასკნელი გზის დალოცვა, და წითელი ჯვრის ემბლემიანი მძიმე მანქანები შორ გზას დაადგნენ. კურსი აღებულია ასტარასკენ, იქიდან ჩავლენ თეირანში, შემდეგ კი მთებში, ბანაკებში.

გზა მშვიდობისა!

ლარისა თუმანიშვილი,
საქინფორმის კორ.

* * *

სურათზე: ქურთ ლტოლვილთა ბანაკში ტვირთის გაგზავნის წინ.

სპარტაკ ჟურაშიძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ამინდი

აგვისტო ცხელი გამქნება

აგვისტო წლის ერთ-ერთი ყველაზე ცხელი თვეა და ტემპერატურული რეჟიმის მიხედვით ივლისისაგან მცირედ განსხვავდება. კლიმატური მონაცემების მიხედვით ჰაერის თვის საშუალო ტემპერატურა რესპუბლიკის დაბლობ რაიონებში მერყეობს 20-25 გრადუსის ფარგლებში, მთიან რაიონებში 17-22, ხოლო მაღალმთიან რაიონებში 13-დან 17 გრადუსამდე. თუმცა ცალკეულ წლებში იგი მკვეთრად განსხვავდება საშუალო მრავალწლიური მნიშვნელობისაგან. ტემპერატურის აბსოლუტური მაქსიმუმი უმეტეს დაბლობ რაიონებში აღწევს 34-40 გრადუსს, აბსოლუტური მინიმუმი იკლებს 12-3 გრადუსამდე.

დასავლეთ საქართველოში, ქართლის ვაკესა და კახეთში აგვისტოში წაყინვები არ აღინიშნება, აღმოსავლეთ საქართველოს მთიან რაიონებში წაყინვები იშვიათად აღინიშნება, ისიც ცალკეულ წლებში.

ნალექების რაოდენობა დასავლეთ საქართველოში შეადგენს 100-250 მმ-ს, ზოგან 60-90 მმ-ს, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში მერყეობს 30-დან 80 მმ-მდე.

საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიური ცენტრის ამინდის გრძელვადიანი პროგნოზის მიხედვით ჰაერის თვის საშუალო ტემპერატურა მიმდინარე წლის აგვისტოში დასავლეთ საქართველოს დაბლობ რაიონებში მოსალოდნელია 24-26 გრადუსი, მთიან რაიონებში 22-24, მაღალმთიან რაიონებში 16-17 გრადუსი, რაც 1-დან 3 გრადუსამდე მაღალია საშუალო მრავალწლიურ მნიშვნელობაზე. თვის პირველ ნახევარში შესაძლებელია ტემპერატურის დაკლება ღამით დაბლობ რაიონებში 16-19 გრადუსამდე, მთაში 11-16, მაღალმთიან რაიონებში 6-10 გრადუსამდე, თვის მეორე ნახევარში — ტემპერატურის მომატება დღისით შიდა დაბლობ რაიონებში 34-37 გრადუსამდე, სანაპირო და მთიან რაიონებში 30-33-მდე, მაღალმთიან რაიონებში კი 25-30 გრადუსამდე.

ნალექების რაოდენობა მოსალოდნელია საშუალო მრავალწლიურ რაოდენობაზე ნაკლები.

აღმოსავლეთ საქართველოში, აგვისტოს თვის ჰაერის საშუალო ტემპერატურა საშუალო მრავალწლიურ მნიშვნელობაზე უმეტესად 1-2 გრადუსით მაღალია მოსალოდნელი. ბარში შეადგენს 24-26 გრადუსს (შიდა ქართლში 22-23 გრადუსს), მთაში 19-22, ხოლო მაღალმთიან რაიონებში 15-17 გრადუსს. თვის პირველ ნახევარში შესაძლებელია ტემპერატურის დაკლება ღამით ბარში 11-16 გრადუსამდე, მთიან რაიონებში 8-13, მაღალმთიან რაიონებში 5-10 გრადუსამდე, თვის მეორე ნახევარში კი დღის ტემპერატურის მომატება ბარში 33-37, მთაში 29-33, მაღალმთიან რაიონებში 26-30 გრადუსამდე.

ნალექების რაოდენობა მოსალოდნელია საშუალო მრავალწლიურ რაოდენობასთან ახლოს, კახეთში მასზე ნაკლები.

მოსალოდნელი მაღალი ტემპერატურული რეჟიმი და არასაკმარისი ტენიანობა შექმნიან არახელსაყრელ პირობებს ჩაის, ყურძნის და სიმინდის ვეგეტაციისათვის.

ნიკოლოზ ბერაძე,
საქართველოს ჰიდრომეტცენტრის უფროსი.

სპორტი

შეჯიბრება მკლავჭიდში

ზესტაფონი. (საკ. კორ.) მკლავჭიდის რაიონული ფედერაციის ინიციატივითა და სპონსორების — ქარხნების „საქაბელის“, „საქნავთობპროდუქტების“, ზესტაფონის ფირმისა და კოოპერატივ „კლდეკარის“ თანადგომით ამ დღეებში პირველად გაიმართა ზესტაფონის ღია პირველობა მკლავჭიდში, მსოფლიო და ევროპის ჩემპიონის და პრიზიორის ზაურ ცხადაძის თასზე.

შეჯიბრებამ მრავალი სპორტსმენი მიიზიდა, მასში მონაწილეობა მიიღეს თბილისიდან და საქართველოს სხვადასხვა რაიონიდან ჩამოსულმა სპორტსმენებმა. გათამაშების საპრიზო ფონდი 10 ათასი მანეთი იყო.

შერკინებები მკლავჭიდის საერთაშორისო წესებით მოეწყო. წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ: ზესტაფონელი ლაშა თოდუა, რატი ლაბაძე, ალეკო არაბიძე, გოჩა კუპატაძე და სერგო ცხადაძე. აბსოლუტურ წონით კატეგორიაში გაიმარჯვა ზაურ ცხადაძის ძმამ სერგომ.

სპეციალური პრიზები დაისაკუთრეს თბილისელმა მერაბ იორდანიშვილმა, ზესტაფონელებმა გოჩა კუპატაძემ და ლაშა თოდუამ. მაყურებლის სიმპათიის პრიზი გადაეცა თერჯოლის მკლავჭიდელთა გუნდს.

ამ შეჯიბრებით საფუძველი ჩაეყარა ტრადიციულ ტურნირს, რომელიც მომავალში ალბათ, საერთაშორისო გახდება.

ტურნირის კარგ ორგანიზაციას ხელი შეუწყო ქალაქის ხელმძღვანელობის თანადგომამ და მხარდაჭერამ.

ბ. შარიძაძე,
„საქართველოს რესპუბლიკის“ საკ. კორ.

წერილები რედაქციას

უსირცხვილოს თუ არ არცხვენ...

ორიოდე საუკუნის უკან ერთ ჭკვიან ფილოსოფოსს უთქვამს, მართე საკუთარი ბუნება, თორემ ის გმართავსო შენ.

ადამის მოდგმის გაჩენის დღიდან გვიხდება ბრძოლა საკუთარ ბუნებასთან. პიროვნების სრულყოფისაკენ სავალი გზები ხომ პიროვნულ თვითგვემაზე გადის.

ორასწლოვანი მონობით დეფორმირებულ ჩვენს სულებს რომ ზოგჯერ მეორე ბუნება (რომელიც რჯულზედ უმტკიცესია) წარმართავს, იქნებ ამიტომაცაა რომ თვითგანსაზღვრისაკენ ლტოლვაა ჩვენი სადღეისო საზრუნავი.

საქართველოს წიგნის ვაჭრობის საბითუმო-საცალო გაერთიანება ერთ-ერთი ჩვეულებრივი მშრომელი ხალხით გამორჩეული საწარმოა. ბოლო ორი წლის განმავლობაში ამ კოლექტივში ვნებათა ღელვამ აპოთეოზს მიაღწია.

ჩვენს ემოციურად დამუხტულ დროში, აბა, ვის გააკვირვებ იმით, რომ „საქწიგნის“ გაერთიანებაშიც ღელავდეს ხალხი, მაგრამ ის, რაც ამ დაწესებულებაში ხდება, ვფიქრობთ, საჯარო მსჯელობის საგანი უნდა გახდეს, რადგან ანალოგიური სიტუაციები სხვაგანაც უამრავია.

უკვე მეხუთე წელია „საქწიგნის“ გაერთიანების გენერალური დირექტორის მოადგილე გიორგი ხაჩიძე უსაფუძვლო ჩივილის, ცილისწამებისა და ცრუ დასმენის სინდრომით დაავადდა. ბოღმითა და ღვარძლით გაჟღენთილს ირგვლივ მხოლოდ კანონის დარღვევა და უსამართლობა ელანდებოდა. ჰოდა, გაერთიანების „სვებედზე მოჭირნახულე“, აბა, ხომ ვერ დადუმდებოდა? გამოსავალიც უცებ იპოვა და დიდი ალიაქოთის დასაწყისში მიზანში ამოიღო ამავე გაერთიანების საგეგმო-საფინანსო განყოფილების უფროსი რ. გოგოლაშვილი.

„საქწიგნის“ მმართველისადმი გაგზავნილ ბარათში ბატონი გ. ხაჩიძე გაერთიანების საგეგმო-საფინანსო განყოფილების უფროსს რ. გოგოლაშვილს ადანაშაულებდა რა არაჯანსაღი ტენდენციით მუშაობაში, ფაქტობრივად ბრალს სდებდა წინასწარგანზრახულ საბოტაჟში და შესაბამისი ღონისძიებების გატარებას ითხოვდა.

ზემოთაღნიშნული მოხსენებითი ბარათი გაერთიანების ხელმძღვანელობის მხრიდან რეაგირების გარეშე არ დარჩენილა. ისიც უნდა ითქვას, აღნიშნული წერილი არც რ. გოგოლაშვილს დაუტოვებია უპასუხოდ. საპასუხო წერილში უსაფუძვლო ბრალდებების გაბათილების შემდეგ ბატონი რ. გოგოლაშვილი თავისი ოპონენტის შესახებ აღნიშნავდა, რომ „იგი (გ. ხაჩიძე) წლების განმავლობაში მიეჩვია სამმართველოს საქმეებში უსაფუძვლოდ ჩარევას, სისტემატიურად ადგას ხელის შეშლის პოზიციას, რათა გამსახკომის ხელმძღვანელობის ყურადღება გადაიტანოს მეორე ხარისხოვან საკითხებზე, რათა არ გამოჩნდეს მისი მუშაობის ნაკლოვანი მხარეები“.

ამ ურთიერთდაჯახების შემდეგ, ყველასათვის გასაოცრად გ. ხაჩიძე და რ. გოგოლაშვილი „დაძმობილდნენ“, როგორც ჩანს, გ. ხაჩიძისათვის დამახასიათებელი მანკიერი თვისებანი (ასე ნიჭიერად რომ აღნუსხა რ. გოგოლაშვილმა), თავადაც საკმაოდ აღმოაჩნდა და..., შეიკრა ცილისმწამებელთა „უნიკალური“ ტანდემი. მათი შეტევის ობიექტი, ამჯერად, „საქწიგნის“ გაერთიანების ხელმძღვანელობა აღმოჩნდა. მკითხველი ზედმეტად რომ არ გადავღალო, მოკლედ ვიტყვი, ამ ორი ცილისმწამებლისა და ცრუ დამსმენის უსაფუძვლო ბრალდებებსა და ცრუ წერილებს რესპუბლიკის მაღალ ინსტანციებში ბოლო არ უჩანდა. შესაბამისი რეაგირებისათვის ინიშნებოდა სარევიზიო კომისიები, რომლებიც მომჩივანთა უსაფუძვლო ბრალდებების გარდა ვერაფერს ადასტურებდნენ. ამ ყოველივეს შემდეგ მკითხველი ადვილად წარმოიდგენს, თუ რა დაძაბულობა იქნებოდა გაერთიანებაში.

მიმდინარე წლის 13 ივნისს საქართველოს წიგნის ვაჭრობის საბითუმო-საცალო გაერთიანების სააქტო დარბაზში ტევა არ იყო. იშვიათად მინახავს ასე მოთმინება დაკარგული ხალხი, თუმცა, მათ არც გაემტყუნებათ, ისინი ხომ წლების განმავლობაში პირადი ამბიციების ტყვეობაში მყოფი მათი კოლექტივის უღირსი და ურცხვი წევრების გ. ხაჩიძისა და რ. გოგოლაშვილის გაუთავებელმა კონფლიქტურმა სიტუაციებმა წონასწორობიდან გამოიყვანა.

კრებაზე კიდევ ერთხელ გააცნეს დამსწრეთ საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს სარევიზიო კომისიის დასკვნა „საქწიგნის“ გაერთიანებაში ჩატარებული შემოწმების შესახებ. კრებას ესწრებოდნენ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრები ქალბატონი ე. ყაველაშვილი და ბატონები რ. კემულარია და ჯ. საჯაია.

კოლექტივის გადაწყვეტილება ერთსულოვანი იყო, შესაბამისი ორგანოების წინაშე აღძრულიყო საკითხი გ. ხაჩიძისა და რ. გოგოლაშვილის ცილისმწამებლური საქმიანობის შესახებ და მისცემოდა სათანადო რეაგირება.

გია თახოევი

ჩვენ ვილოცებთ სათნოების სახლისათვის

მიმდინარე წლის 21 იანვარს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარემ ხელი მოაწერა ისტორიული მნიშვნელობის განკარგულებას თბილისში სათნოების სახლის დაფუძნების თაობაზე, რითაც გადაიდგა ნაბიჯი ცივილიზებულ სამყაროსთან საქართველოს კიდევ უფრო დასაახლოებლად.

სათნოების სახლის დაფუძნებას აღვიქვამთ ჩვენს მარტოხელა, მიუსაფარ და ხანდაზმულ თანამოძმეთა კეთილდღეობაზე რესპუბლიკის ხელმძღვანელთა ზრუნვის თვალნათელ გამოხატულებად. მთავარი ისაა, რომ ჩვენ დღეს, ისე როგორც არასოდეს, ვგრძნობთ რა პასუხისმგებლობა გვაკისრია უფლისა და მამულის წინაშე, ვფიქრობთ არა მარტო მატერიალურსა და წუთიერზე, არამედ სულზე, მის უკვდავებაზე და ეს ფიქრი სამთავრობო დონეზეა გამოხატული. სიმბოლურია, რომ რესპუბლიკის მთავრობამ სათნოების აგური ჩადო განახლებული საქართველოს აღმშენებლობის საძირკველში. ამიტომაც აღვიქვამთ სათნოების სახლს როგორც მიკროხატს სახელმწიფოსი, რომლის აშენებასაც ვესწრაფვით.

ამ ადამიანთა სახელით, ვინც ასოციაცია „კათარზისთან“ ერთად სათნოების სახლის დაფუძნების ინიციატივით გამოვიდა, აგრეთვე იმ ხანდაზმულთა, მარტოხელათა, მიუსაფართა სახელით, ვისთვისაც სათნოების რესპუბლიკური სახლია განკუთვნილი, გულითად მადლობას მოვახსენებთ საქართველოს პრეზიდენტს, რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს, ყველას, ვინც თავისი წვლილი შეიტანა ამ ღვთისნიერი საქმის საფუძვლის ჩაყრაში.

სათნოების სახლს და მის მესვეურთ ალბათ მრავალი წინააღმდეგობის დაძლევა მოუწევთ, მაგრამ გვჯერა, ყოველი სირთულე უკან დაიხევს. ამის იმედს კი გვაძლევს ბატონ ზვიად გამსახურდიას ქრისტიანული თანადგომა, რამეთუ პირადად მისი განკარგულებით გახდა შესაძლებელი სათნოების სახლისათვის აუცილებელი შენობის გამოყოფა.

გვჯერა, რომ სამთავრობო თუ საზოგადოებრივი ორგანიზაცია-დაწესებულებები, უწყებები, კერძო პირები გვერდში ამოუდგებიან როგორც „კათარზისის“, ისე სათნოების სახლის დამფუძნებელ საზოგადოებრივ მრჩეველთა საბჭოს, რათა ეს კეთილშობილური საქმე ღირსეულად იქნეს მიყვანილი ბოლომდე.

ჩვენ ვილოცებთ სათნოების სახლისათვის!

(თბილისი, 1991 წ. მაისი)

წერილს ხელს ათიათასი ადამიანი აწერს.

ვარვარა ბეზურიშვილი; ნინო ხარებავა; ზუზული რევაზიშვილი; ნატაშა ლოლობერიძე; ანა ზარაფიშვილი; მარიამ აფხაზავა; ვერა გრიგორიანი-კოჩიევი; ანა შენგელია და სხვები.

შემთხვევა

სროლა ყანებში

საოკუპაციო ჯარების დაუდევრობით გაჩნდა ხანძარი. დაიწვა ხალხის დოვლათი

მარნეულის რაიონის ყიზილაჯლოს საზოგადოებრივი მეურნეობის მშრომელებმა რთულ პირობებში თავთავიანთა ჩინებული მოსავალი მოიწიეს. საქმე ის არის, რომ წინა წლებში ამ მივიწყებულ კულტურას ფართობებიც მეტი დაეთმო, თითქმის ორჯერ მეტი. უხვ მოსავალს იმანაც შეუწყო ხელი, მიწათმოქმედები იჯარული მეთოდით მუშაობენ. მოსავლის აღება გაჭიანურდა საწვავის ნაკლებობის გამო. მხვნელ-მთესველები ყველა ღონეს ხმარობენ მოწეული ჭირნახულის უდანაკარგოდ აღებისათვის. მათ ეხმარებიან მეზობელი წალკის რაიონი, აზერბაიჯანის რესპუბლიკა, საიდანაც მოვიდნენ კომბაინები, „საქსოფლნაყოფიერების“ მარნეულის განყოფილების მუშაკებმა მეზობლებს დაახმარეს სამი სატვირთო ავტომანქანა. — ერთი სიტყვით, სიძნელეების მიუხედავად, ყველაფერი რიგიანად მიდიოდა — თქვა მეურნეობის დირექტორმა ბახადინ მურადოვმა. და მაინც მხვნელ-მთესველებმა თავიდან ვერ აიცილეს უბედურება. იგი ჩასაფრებული ყოფილა, პურის ყანები ემიჯნება სამხედრო აეროდრომს. დღის 13 საათსა და 20 წუთზე, როცა მზე ზენიტში იდგა, მინდორი გახურებული და გაფიცხებული იყო, სამხედრო აეროდრომზე საწვრთნელი სროლა იყო გაჩაღებული. სამხედროები, როგორც ჩანს, მიზანში ვერ ისროდნენ და ტყვიას მიმართულება პურის ყანისკენ მისცეს. უცბად ხანძარმა იფეთქა, 15,5 ჰექტარი ერთიანად დაიწვა. ზარალი 49 ტონა მარცვალია. უბედურება კიდევ მეტი იქნებოდა, ჩვენს მხვნელ-მთესველებს რომ არ ემარჯვათ. მათ ტრაქტორებით გადახნეს ირგვლივ პურის ყანები, და ადამიანებმა სიცოცხლის რისკის ფასად ხანძარს გზა გადაუღობეს. ვერ ვიტყვით, თითქოს სამხედროები გულხელდაკრეფილნი იყვნენ, მაგრამ ამ შემთხვევამ ერთ რამეში ნათლად დაგვარწმუნა: „საბჭოთა საოკუპაციო ჯარებში დისციპლინა სულ უფრო ეცემა. სასროლეთი ისე არ უნდა ჰქონდეთ მოწყობილი, რომ უბედური შემთხვევა მოხდეს და ხალხის დოვლათი დაიწვას.

დავით ბიწაძე,
„საქართველოს რესპუბლიკის“ საკ. კორ.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციას

ნება გვიბოძეთ თქვენი გაზეთის საშუალებით დიდი მადლობა მოვახსენოთ საქართველოს მწერალთა კავშირს, საქართველოს ჟურნალისტთა კავშირს, გამომცემლობა „სამშობლოს“, გაზეთების რედაქციებს, ყველა იმ ორგანიზაციას და კერძო პირს, ვინც გაიზიარა ჩვენი მწუხარება გივი ვარდოსანიძის გარდაცვალების გამო.

პატივისცემით გ. ვარდოსანიძის ოჯახი.

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი

მისამართი: 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26;
წერილების რედაქცია 99-73-24.
იბეჭდება ოფსეტური წესით საგამომცემლო კომპლექსში, ხოშარაულის ქ. № 29.
ინდექსი 64434

X1

საქართველოს რესპუბლიკა